

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-
საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება
ცოდნის“ ჟურნალი

სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა
ხოლმე“

25-11-16 


№27
2016

ჟურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი „სიტყვა“

თუ რელაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რელაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რელაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის ძალით აკრძალულია. ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარელაქციო კოლეგია:

ნუგზარ წერეთელი (მთავარი რელაქტორი),
ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი),
გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიციანი, ნიკო ლეონიძე, თეა მამარდაშვილი,
ტარიელ სტურუა, ალექსი ჭედია, ნინო წერეთელი.

რელაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.

*საკონტაქტო ტელეფონები:
299-00-35, 299-94-46, 293-43-10
577-52-31-31, 555-39-28-83*

ISSN 1987-77-49

ყ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

შინაარსი

1.	შესავალი „საზოგადოება ცოდნაში“	4
	<i>ლიტმცოდნეობა, კრიტიკა</i>	
2.	დიდი მწერალი და მეგობარი	7
3.	მნიშვნელოვანი ნაწარმოები	20
4.	საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა	27
	<i>კულტურა</i>	
5.	ბიბლიოთეკა რელსებზე	31
	<i>მხატვრობა</i>	
6.	დიდი მხატვრის მატანე	37
	<i>კომეზია,</i>	
	<i>სტუდენტი-ახალგაზრდობის შემოქმედება</i>	
7.	ნინო ლორთქიფანიძე – ლექსები	40
8.	თამარ შუკვანი – ლექსები	42
	<i>ლექსები პირადი არქივიდან</i>	
9.	ჯონდო ჯერეთელი - ლექსები	44
	<i>ლექტორ-მასწავლებელთა შემოქმედება</i>	
10.	მერაბ თხელიძე – ლექსები	48
11.	მეზობელი კომედი	51
12.	სამსტროფიანი ლექსების ციკლი (გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებიდან)	58
13.	პოეზიის დღესასწაული	76
	<i>მეცნიერება</i>	
14.	თამარ მერაბიშვილი – თვითშეფასება და კონტროლის ლოკუსი ტიპოლოგიის ჭრილში	78

საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნაში“



საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნა“ 1947 წლის მაისიდან არსებობს და ფუნქციონირებს, გაისად დაარსებიდან სამოცდაათი წლისთავის საიუბილეო თარიღიც უსრულდება. განვლილი წლების მანძილზე საზოგადოება „ცოდნა“ ხელმძღვანელობდა ქვეყანაში ლექციური განათლებისა და სახალხო უნივერსიტეტების ფართო ქსელს, ქალაქებისა და რაიონების გარდა ყველა სოფელს ათასობით მაღალკვალიფიციურ ლექტორთა ძალებით სტუმრობდა, ხელს უწყობდა ხალხის თვით-

განვითარებას, პოპულარულად უხსნიდა სიახლეებს, აცნობდა ეროვნული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების წარსულს, აწმყოსა და მომავალს, პასუხობდა ყველა სახის მწვავე შეკითხვას.

საინფორმაციო ურთიერთობების ასეთი ფორმა ხალხს მოსწონდა, მოთხოვნაც საკმაოდ დიდი იყო, წლის მანძილზე „საზოგადოება ცოდნის“ ასობით რეგისტრირებული ლექტორი რესპუბლიკაში უამრავ ლექციას კითხულობდა, ან საფუძვლიან ახსნა – განმარტებით საუბარს ატარებდა. ამავე დროს „ცოდნის“ ხაზით გამოდიოდა 120-ზე მეტი დასახელების ბროშურა ეროვნული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროდან, ხალხს პოპულარულად განემარტებოდა უამრავი პრობლემა, ასევე გამოდიოდა ჟურნალების სერია საერთო სათაურით „კითხვა. პასუხი. პრობლემა“, რაც საზოგადოებრიობაში პოპულარობით სარგებლობდა.

1991-1995 წლების მძიმე ვითარების წლებში „საზოგადოება ცოდნის“ საქმიანობა საგრძნობლად გართულდა, მაგრამ მაინც მთელი მონდომებით მიმდინარეობდა. იმ პერიოდში უკვე საკმაოდ დაუძღურებული სახელმწიფო მაინც გვიწევდა შესაძლო დახმარებას. 1994 წლიდან თბილისის ცენტრში არსებული და „ცოდნის“ ცენტრალური საბჭოს მიერ დაფინანსებული ჩვენი შენობა გადმოგვეცა ფლობისა და გან-

კარგვის უფლებით, 1998 წლიდან კი უკვე სრულ საკუთრებაში, პირად ბალანსზეა აყვანილი. 1994 წლიდანვე სახელმწიფომ „ცოდნა“ ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანა, რაც დიდად უწყობდა ხელს „ცოდნის“ ყოველდღიურ მუშაობასა და საქმიანობის აღმავლობას. მაგრამ 2001 წლიდან, მაშინ ჯერ კიდევ ახლადდანიშნულმა ფინანსთა მინისტრმა „საზოგადოება ცოდნა“ ერთ-ერთი პირველი ამოიღო აღნიშნული დაფინანსების სიიდან და ორგანიზაცია უსახსროდ დატოვა, სამინისტროსადმი კეთილგანწყობილი ორგანიზაციები კი არ ამოუშლიათ. ამას ზედ დაერთო მომდევნო წლებში ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი ზემდგომი ორგანოების ყურადღების საკმაო შესუსტება, რამაც ბუნებრივია, მძიმედ იმოქმედა „ცოდნის“ სალექციო-საინფორმაციო მოღვაწეობაზეც და ეს დიდი, წლობით აპრობირებული საქმე ჩაშლის პირამდის მიიყვანა. უკვე აღარ იყო სახსრები, რომ საზოგადოების გამოჩენილი ლექტორები, რომელთა რიგებშიც იყვნენ აკადემიკოსები, პროფესორები, დოქტორები, მწერლები, ყველა დარგის თვალსაჩინო სპეციალისტები, მივლინებით გაგვეზავნა ქვეყნის რაიონებსა და სოფლებში ხალხთან შესახვედრად და ხალხთან გულახდილი საუბრებისათვის. ამიტომაც იყო, რომ „საზოგადოება ცოდნა“ დაადგა საკუთარი წესდებით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მოღვაწეობისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის

ხელის შეწყობის მომიჯნავე და ასევე აპრობირებულ გზას.

ჯერ კიდევ 1950 წლიდან „საზოგადოება ცოდნაში“ ფუნქციონირებდა სამედიცინო ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი. როგორც აღვნიშნეთ, მაშინ და შემდგომ წლებში ქვეყნის ოლქებისა და რაიონების მასშტაბით 100-ზე მეტი სახალხო უნივერსიტეტი მოქმედებდა, რომელთა შექმნაც და ხელმძღვანელობაც ქვეყნის მთავრობის დადგენილებით მთლიანად „საზოგადოება ცოდნას“ ევალებოდა. ორი და სამი წლის სწავლების შემდეგ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სახალხო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს უწყებრივი და არა სახელმწიფო დიპლომებიც ეძლეოდათ, რაც მათ ხელს უწყობდა მიეღოთ ზოგადი განათლება და სამსახურებრივ წინსვლაშიც გარკვეულწილად ეხმარებოდათ, რადგან მაშინ ამ სახეობის საზოგადოებრივი პროექტების განხორციელება სავალდებულო და საპატიო სფეროს წარმოადგენდა.

1993 წლიდან „საზოგადოება ცოდნაში“ ფუნქციონირება დაიწყო ატესტირებულმა ფასიანმა სამედიცინო კოლეჯმა, რომელიც 2000 წლიდან უმკაცრესი ატესტაციის გავლის შემდეგ უნივერსიტეტიც იყო და სასწავლო უნივერსიტეტიც.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესმა აკადემიურმა სასწავლებელმა ნაყოფიერი გზა განვლო. მან წარმატებით გაიარა ყველა საფეხური და ბარიერი, მიიღო ატესტაცია, ავტორიზაცია, 2012 წელს კი განმო-

რებითი აკრედიტაცია მოიპოვა ხუთი წლის ვადით, ამავე დროს მივიღეთ ავტორიზაცია პროფესიული მიმა-რთულებითაც. აქ მედიცინის პირველი საფეხურის მაღალკვალიფიციური მუშაკებიც მომზადდებიან, რაზედაც ქვეყანაში დიდი მოთხოვნაა.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლეს აკადემიურ სასწავლებელში ასწავლიან ჩვენი ქვეყნის ფარმაციის ხაზით მომუშავე საუკეთესო, ძლიერი, მაღალკვალიფიციური კადრები, სრული და ასოცირებული პროფესორები, რომელთაც ცნობილი პრაქტიკული ფარმაცევტების თაობები ჰყავთ აღზრდილი. მაღალი დონის განათლებასთან ერთად ისინი რექტორატისა და ადმინისტრაციის მხარდამხარ სითბოსა და ყურადღებას არ აკლებენ მომავალ ფარმაცევტებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესი აკადემიური სასწავლებლის კურსდამთავრებულები დასაქმების ანუ სამსახურში მოწყობის ძალიან მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევიან. ჩვენთან ბაკალავრის სახელმწიფო დიპლომმიღებულები მუშაობენ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, საქართველოში კი პსპ-ს სისტემის აფთიაქებში, წამლის სააგენტოსა თუ ეროვნული ფარმაციის სხვა ცენტრებში.

ასევე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ის გარემოება, რომ 2013 წელს, ძალიან დიდი და რთული მზადების შემდეგ, ჩვენ მოვიპოვეთ აკრედიტაცია და ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტიც გაიხსნა, სადაც მოღვაწეობენ მაღალი დონის კადრები და სწავლების საქმეც სათანადოდ მიმდინარეობს.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნაში“ ფუნქციონირებს გამო-მცემლობა, სადაც იბეჭდება ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების სახელმძღვანელოები, შრომები, სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „ცოდნაშივე“ გამოდის სქელტანიანი ჟურნალი „სიტყვა“, სადაც ხშირად იბეჭდება პროფესორებისა და სტუდენტების შრომები, მხატვრული შემოქმედების ნიმუშები, ლექსები და მოთხრობები, ნარკვევები და ჩანახატები.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნა“ დგას ახალი პრობლემების, ახალი ურთულესი გამოწვევების წინაშე და ცდილობს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე წარმართოს ყოველდღიური საქმიანობა, კვლავაც აკეთოს ქვეყნისათვის საჭირო და სასარგებლო საქმე.

**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
„საზოგადოება ცოდნის“ გამგეობა**

დიდი მწერალი და მებოგარი



2016 წლის 22 აპრილს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გურამ ფანჯიკიძის დაბადების დღე იყო, 2017 წელს კი ოცი წელიწადი სრულდება, რაც იგი აღარ არის ჩვენს შორის.

გურამ ფანჯიკიძის უდროო აღსასრული მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, ქართული მწერლობისა და მთელი საქართველოსთვის, რადგან მისი სახით გვყავდა ქართველი მწერლების

წინამძღოლი და მოამაგე, დიდი ქართველი მამულიშვილი, ჭეშმარიტად ღირსეული შემოქმედი, ვინც თავისი რომანებით, მოთხრობებით, პუბლიცისტური წერილებით მთელ ქვეყანას ალელვებდა, აფორიაქებდა, ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და უკეთესი მომავლისაკენ მოუწოდებდა, ამხნეებდა და მხარში ედგა.

დიდი მწერლის გახსენების მიზნით ჩვენს ჟურნალში განმეორებით ვბეჭდავთ ნუგზარ წერეთლის წერილს, რაც გურამ ფანჯიკიძის დალუპვამდე ერთი წლით ადრე გამოქვეყნდა ქართულ პრესაში და შემდეგ კრებულებშიც შევიდა.

წერილი მიეძღვნა გურამ ფანჯიკიძის უკანასკნელ, ფართოდ გახმაურებულ რომანს „ეშმაკის ბორბალი“. ნაჩუქარ წიგნზე თავად გურამ ფანჯიკიძემ წააწერა: „ჩემს ძმას ნუგზარ წერეთელს! ამ წიგნზე უბადლო რეცენზიის ავტორს, დიდი სიყვარულით, ძმობით და ერთგულებით გურამ ფანჯიკიძე, 20.III.1996 წ.“

რედკოლეგია

ჩვენი ურთულესი ეპოქის მატთან

როგორც ყველა მწერალი, ლიტერატურათმცოდნე თუ უბრალოდ მკითხველი, დიდ სიხარულს განვიცდი ქართული ლიტერატურის ყველა მნიშვნელოვანი წარმატების გამო. იმ დროს, როდესაც ქვეყანაში იყო კრიზისი, ქაოსი, მაფიის აღზევება, მკვლევლობები და ნგრევა, ქართული მწერლობა წამითაც არ შეძრკალა, არ შეჩერებულა, ფარ-ხმალი არ დაუყრია, ქვეყანაში მიმდინარე სასიკეთო პროცესებს შთამაგონებელი სიტყვის ძალით უწყობდა ხელს.

მიუხედავად იმისა, ქალაქი არანაშლად გაძვირდა, მიუხედავად იმისა, რომ სასტამბო ხარჯებმა ასტრონომიულ ციფრებს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ საავტორო ჰონორარი თითქმის აღარ არსებობს, წიგნები მაინც გამოდის, და რაც მთავარია, ეს წიგნები იწერება, იქმნება; თანაც იწერება დიდებული რომანები, ისეთები, რომელთა მსგავსიც პირობითად ყველაზე საუკეთესო დროშიც რომ არ დაწერილა, თუნდაც მაშინ, როცა აქ ჩამოთვლილი პრობლემები ნაკლებად გვაწუხებდა.

რომანებზე შეგნებულად ვამახვილებ ყურადღებას. რა თქმა უნდა, იწერება მშვენიერი ლექსებიც, მოთხრობებიც, პიესებიც, კრიტიკული თუ სატირული წერილებიც, მაგრამ რომანი მაინც რომანია, მითუმეტეს კარგი რომანი, რაც თავისთავად ქართული მწერლობის სიმაღლეებს გამოხატავს. რომანის დაწერა კი ყველას როდი ხელეწიფება.

ამ ბოლო პერიოდში რისი წაკითხვაც შევძელი თუ მოვასწარი, – რადგან მეც მრავალთა მსგავსად ძალზე დატვირთული ვარ, – და რამაც მართლა საუცხოო გუნებაზე დამაყენა, – იყო ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალი“, ოთარ ჩხეიძის „არტიტული გადატრიალება“, რევაზ ჯაფარიძის „მხევალი უფლისა“, გურამ გეგეშიძის „სისხლის წვიმები“, გურამ ფანჯიკიძის „ემმაკის ბორბალი“.

წინამდებარე წერილის დაწერასწორედ „ემმაკის ბორბალი“ განაპირობა. ჟურნალ „მნათობში“ ნაწყვეტ-ნაწყვეტ წაკითხვის შემდეგ, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით წავკითხე გურამ ფანჯიკიძის თითქმის შეიდასსამოცი გვერდის მოცულობის ჭეშმარიტად მრავალპლანიანი, მაღალმხატვრულად შექმნილი ჩვენი ურთულესი ეპოქის მართალი მატთან, ეს საოცრად ძლიერი, მონოლითური და შთამბეჭდავი წიგნი.

პირველ რიგში შინაგანი სინანული ვიგრძენი, რომ ოდნავი დაგვიანებით მომიხდა ნაწარმოების წაკითხვა, მეორე მხრივ კი აღფრთოვანება მომეძალა, როდესაც ამ ყოველგვარი პარამეტრით დიდ რომანს შეუხელებელი ყურადღებით გავეცანი და მრავალი ადგილი ხელახლა გადავიკითხე.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ გურამ ფანჯიკიძე საუკუნის მესამედზე მეტი დროის მანძილზე არის ჩემი მეგობარი და საყვარელი კაცი. ეს უდავოდ სასიამოვნო წინაპირობაა, როცა მწერ-

აღსაც ახლოს იცნობ და მის უზარმაზარ შემოქმედებასაც, თუმცა სრულიად უცნობი ავტორიც რომ ყოფილიყო, „ემმაკის ბორბლის“ დამწერის შესახებ მაინც ზუსტად იგივეს ან შეიძლება უფრო მეტსაც ვიტყვოდი, რაც დღევანდელი მცირე საგაზეთო სტატიით მაქვს გათვალისწინებული.

ამავე დროს არ მინდა, ჩემი წერილი უმნიშვნელოვანესი რომანის ჩვეულებრივ განხილვით შემოიფარგლოს. მის შესახებ უკვე მრავალი ცნობილი ლიტერატურისმცოდნის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მიმოხილვა გამოქვეყნდა და დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრი გამოქვეყნდება, რადგან გურამ ფანჯიკიძის „ემმაკის ბორბალი“ გულგრილს ვერავის დატოვებს და მრავალს საკუთარი აზრის გულწრფელი გამოთქმისაკენ მოუწოდებს.

* * *

რომანის დიაპაზონი უაღრესად ფართოა, ზედმიწევნით შთაბეჭდავი და მრავლისმომცველი. ეს არის დიდი მწერლის ჩვეული ოსტატობითა და ნაცადი თვალთ ასახული ჩვენი დრო – უმძიმესი ოცდაათიანი წლებიდან დაწყებული და ოთხმოცდაათიანი წლებით დამთავრებული. აქ საოცარი ძალითაა ნაჩვენები ერთი ოჯახის ოთხი თაობის ცხოვრება, რომელთა მაგალითზეც კარგად ჩანს ყველაფერი, უხვად უარყოფითი და გარკვეული დოზით დადებითი, რაც ახლდა იმ ტოტალიტარულ წლებს.

ტოტალიტარიზმის, სტალინის პიროვნების კულტის თუ სრუშჩოვის

თემა, ბუნებრივია, არ არის ხელშეუხებელი და უცნობი. გურამ ფანჯიკიძის ახალი რომანი ამ თითქოს ცნობილ, მაგრამ მაინც ნაკლებად ცნობილ და ბინდით მოცულ ურთულეს თემაზეა აგებული. ამ თემაზე ჩვენც ბევრი რამ გვაქვს წაკითხული. დავასახელოთ თუნდაც ალექსანდრე სოლჟენცინის ტომეულები, ანატოლი რიბაკოვის რომანები, ბეკის, ნეკრასოვის, აქსიონოვის, კოპელევის და სხვა ცნობილი რუსი თუ საზღვარგარეთელი მწერლების ნაწარმოებები.

გურამ ფანჯიკიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი რომანის ეს სიუჟეტური ხაზი თუ ძირითადი ქარგა გაცილებით საინტერესოც არის, სწორად გაგებულიც, სათანადოდ გააზრებულიც და შეუდარებლად მაღალმხატვრულად გადმოცემულიც. თუნდაც ნიკიტა ხრუშჩოვთან დაკავშირებული საოცარი ფსიქოლოგიური ძალის ეპიზოდებიც საკმარისია ამის საილუსტრაციოდ.

ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალის“ პრეზენტაციის დროს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობაშიც აღვნიშნე, რომ ჩვენ შიშით თუ რიდით ვუცქერდით მსოფლიოში სახელგანთქმულ ავტორებს და შედარებასაც გავუბრუნებდით, მაგრამ როდესაც ქართველი ავტორი, ამ შემთხვევაში გურამ ფანჯიკიძე, აშკარად ჯაბნის ათეულობით სახელმონვეჭილ ავტორს, ეს უნდა გვიხაროდეს, საამაყოდ მივიჩნიოთ და ვაღიაროთ კიდევ.

* * *

რომანში, როგორც ითქვა, ერთი ოჯახის ოთხი თაობის ცხოვრების დამაჯერებელი აღწერით განზოგადებულად არის გადმოცემული ჩვენი საოცრად რთული და არეული ეპოქის ერთი უდიდესი მონაკვეთი. აქ ტოტალიტარული რეჟიმისა და მასში ჩართული ადამიანური ვნებების ფონზე უამრავი საინტერესო პრობლემა, სახე, ამბავი, ფაქტი, მოვლენა ერთმანეთში მჭიდროდ, დიდი ოსტატური ძალით არის გადახლართული. ჩემი დაკვირვებით, უფრო მეტიც, ჩემი რწმენით (და ასეთი შეხედულებისა, მაღლობა ღმერთს, მარტო მე არ ვარ), რომანში არცერთი დეტალის თუ პიროვნების გამოჩენა უმიზნოდ არსად არ ხდება. თუკი მწერალი თუნდ რომანის დასაწყისშივე ვინმეს ან რაიმეს მიგანიშნებთ, შემდეგში თითქოს კითხვის ნიშანივით დარჩენილი ესა თუ ის მომენტი უეჭველად იჩენს თავს, ჩაფიქრებული მთელი სისრულით გამოჩნდება, ყოველი წვრილმანი კი საკუთარ ადგილს ჰპოვებს, რაც დიდი მწერლობისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომაც რომანის შინაარსის, თუნდაც სიუჟეტის მოკლედ გადმოცემა მე შეუძლებლად და არასწორად მიმაჩნია. ეს რომანი დაკვირვებით, სიყვარულით, კეთილი განწყობით უნდა იქნეს წაკითხული და შეიძლება ერთხელ კი არა, ორჯერ წაკითხვაც არ იყოს საკმარისი, რომ მის საოცრად ძლიერ ნიუანსებს, მწერლურ ხერხებს თუ სიღრმეში მდებარე ჩანაფიქრებს ჩავწვდეთ.

აქ მახსენდება დიალოგები რომა-

ნის ერთ-ერთი ადგილიდან, სადაც შეკრებილი ახალგაზრდები გაცხარებით მსჯელობენ ლიტერატურისა და ხელოვნების თანამედროვე პრობლემების შესახებ:

„... აღარც კითხვით იკლავენ თავს. მეორეც, რომ იკითხონ კიდევ, გგონიათ, კმარა წაკითხვა? გგონიათ, ყველას შესწევს უნარი, ბოლომდე ჩასწვდეს ნაწარმოებს, შეიცნოს მისი ღირსება-ნაკლოვანებანი? ავიღოთ თუნდაც რომანი. უმრავლესობას მასში მხოლოდ სიუჟეტი აინტერესებს. ვინ არის ცალკეული დეტალების, ფსიქოლოგიური ნიუანსების გამგები და შემფასებელი?...

... იქნებ მწერალმა უნდა მიაგნოს იმ ლიტერატურულ ხერხებს თუ საშუალებებს, რითაც მკითხველს ტელევიზიის ეკრანს დროებით მაინც მოწყვეტს და წიგნს წაკითხვას?!“

მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ გურამ ფანჯიკიძემ თავისი რაფინირებული ოსტატობით ნამდვილად მიაგნო იმ ლიტერატურულ ხერხს, რომ ნებისმიერი ასაკის ადამიანი დროებით კი არა, ხანგრძლივად მოწყვიტოს ეკრანს თუ გადაუდებელ საქმეებს და თავისი ნაწარმოების, თავისი გმირების სამყაროში აცხოვროს, შინაგანად დაინტერესოს, გაიტაცოს და ერთხელ წაკითხულ ადგილსაც მეორედ თუ მესამედაც დაუბრუნოს.

რომელიდაც კრიტიკოსმა სრულიად კეთილი განზრახვით „ემ-მაკის ბორბლის“ მიზიდულობის ძალა დეტექტიური ჟანრის ელემენტებს დაუკავშირა. რომანის სიუჟეტი მარ-

თლაც ისეთი მწვავე, დატვირთული და სისხლსავსეა, რომ ზოგიერთს შეიძლება ასეც მოეჩვენოს, მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ელემენტად შეიძლება მივიჩნიოთ. თავად რომანი ისე ძლიერადაა დაწერილი, კომპოზიციურად ისეთი ოსტატობით არის აგებული, რომ დიდი ლიტერატურის ყველაზე მკაცრ მოთხოვნებს თამამად პასუხობს და საკუთარ თავში უანრთა მრავალფეროვნებასაც შეიცავს.

* * *

„ემმაკის ბორბლის“ ცენტრალურ ფიგურებად ძველი თაობის წარმომადგენელი, გვარდიის პოლკოვნიკი, მრავალი ჯილდოს მფლობელი არჩილ გორდელი და მისი შვილიშვილი, ბაბუის სახელისა და გვარის მატარებელი ფუნქციონერი და საკმაოდ სოლიდური თანამდებობის პირი არჩილ გორდელი, არიან გამოყვანილები.

გურამ ფანჯვიკიძის მწერლური ბუნებიდან, მისი შორს მიმავალი ჩანაფიქრებიდან გამომდინარე მე ეს მომენტიც არ მეჩვენება შემთხვევითად თუ თავისთავადაა, რადგან ვრცელი ნაწარმოების მთელი დატვირთვა მათ მხრებზე გადადის. გვარდიის პოლკოვნიკის შვილი და არჩილ გორდელის მამა, ტოტალიტარული რეჟიმის წინების გამო დიდ მეცნიერებად ვერშემდგარი ლევან გორდელი, და სულ ახალგაზრდა, ამ დიდი, ტრადიციული ოჯახის ერთადერთი მემკვიდრე დათო, მართალია, უაღრესად საჭირო ფუნქციონალურ დატვირთვას ატარებენ, მაგრამ

ისინი უფრო მეტად ავსებენ მხატვრული ფანტაზიით უხვად გაჯერებულ სივრცეს, სადაც სასიკვდილოდ განწირული მათი უახლოესი წინაპრები მოქმედებენ.

მწერლის სწორ გადაწყვეტილებაშიც ღრმად ჩამაფიქრებელი, ფატალური აზრებია ჩადებული: თავისი ფეტიშისა და ცხოვრებისეული პრინციპების ნგრევით სულით ხორცამდე შეძრწუნებული გვარდიის პოლკოვნიკი არჩილ გორდელი თავს იკლავს, ასევე შემაძრწუნებელი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს დიდი სამთო-გეოლოგიური სამმართველოს უფროსი, ფენქვეშ გამთელავი საბჭოთა წესწყობილებითა და საკუთარი ადამიანური სისუსტეებით ფსიქოლოგიურად განადგურებული არჩილ გორდელი.

კატორღის ჯურღმულებში, სასიკვდილოდ განწირულთა საკნებსა თუ შორეული ციმბირის საშინელ ბანაკებში არაადამიანური ძალით ნაწამები შედარებით სუსტი, კეთილი ბუნების ლევან გორდელიც კი არ იკლავს თავს. მისი ტანჯული სიცოცხლე მოწამებრივი სიკვდილით მთავრდება.

თავს არც ახალგაზრდა დათო გორდელი იკლავს და არც არასოდეს მოიკლავს. იგი ძლიერი პიროვნებაა, როგორც თავადაც ამბობს თავის თანატოლებზე ერთი ავლანეთით უფროსი. მან საკუთარი ნებით გამოიარა ეს მიწიერი ჯოჯოხეთი, საკუთარი სულიერი ძალებით გაუძლო საშინელ გამოცდასა და თავის ბუნებაში არსებული კეთილი საწყისი უხეში ძალით

თითქოს უფრო მეტად განამტკიცა.

დათო გორდელი არც შშიშარაა, არც კონფორმისტი, არც მლიქვნელი თუ ქამელეონი. მის ბუნებაში თავი იჩინა ყველაფერმა საუკეთესომ, რაც კი წინაპრებს გააჩნდათ, უარყოფითი და საძულველი კი თავად უკუაგლო, შინაგანად განიწმინდა და ამაღლდა. გურამ ფანჯიკიძე დიდ იმედებს ამყარებს დათო გორდელზე, მისი სახით განზოგადებულად მთელ ახალგაზრდა თაობაზე და ჩვენც გვაჯერებს, რომ ისინი სიმართლის, პატიოსნების, სიყვარულის, კაცობის სულ სხვა გზით ივლიან, წინაპრების მიერ დაშვებულ მომაკვდინებელ შეცდომებს აღარ გაიმეორებენ.

* * *

შორეული გადასახლებიდან არჩილ გორდელის მამის დაბრუნებისა და სულით ხორცამდე შემძრავი გარდაცვალების ამბავი რომანში ერთ-ერთ უძლიერესად, თუ გნებავთ ბრალდებად ან ტოტალიტარული წყობილებისათვის გამოტანილ მძიმე განაჩენად მეჩვენება. ალბათ, ამიტომ ფიქრიდან თუ წარმოსახვიდან წამითაც არ მომცილებია.

მამის, გვარდიის პოლკოვნიკ არჩილ გორდელის აუტანლად ორთოდოქსალური სტალინურ-სოციალისტურ-კომუნისტური შეხედულებებითა და ასეთივე ცხოვრებით სულშეხუთული ლევან გორდელი, ჭეშმარიტად დიდი იმედის მომცემი ფიზიკოსი, მეცნიერი და ექსპერიმენტატორი, იძულებული გახდა მოხალისედ წასულიყო საძულველ ომში.

უამრავ სხვა დამრთგუნველ მოვლენასთან ერთად მის ცხოვრებას და ფაქიზ ბუნებას უმძიმესი დალი დააჩნია დედის დაპატიმრებამ, რომელსაც პოლონეთისა და გერმანიის ჯაშუშობა დასწამეს საზღვარგარეთ მცხოვრებ ძმასთან ერთად.

ორთოდოქსმა კომუნისტმა არჩილ გორდელმა ცოლის ეს „ღალატი“ სამშობლოს წინაშე დაიჯერა თუ დააჯერეს, მაგრამ ლევან გორდელს მთელი ცხოვრება აწამებდა უსინდისობისა და უკეთურობის ასეთი არნახული აღზევება.

გადასახლებიდან დაბრუნებული, გასაცოდავებული და ერთიანად გათელილი ლევან გორდელი დასძლევს წლობით გულის სიღრმეში ნატარებ შიშსა და თავის ერთადერთ ვაჟს ბოლოს და ბოლოს სიმართლეს უმჟღავნებს:

„– მინდა იცოდეთ, არასოდეს არ შეგრცხვეს დედაჩემისა, იგი დიდბუნებოვანი ინტელიგენტი ქალი იყო. დედაჩემი და გერმანიის შპიონაჟში ჩათრეული ჯაშუში? განა შეიძლება ამ ქვეყანაზე იყოს უფრო დიდი სიცრუე, ვიდრე დედაჩემისათვის სამშობლოს ღალატის დაწამება? ან განა ბიძაჩემი, დედაჩემის ძმა, ძველი ინტელიგენტი და ჭეშმარიტი ოფიცერი, შეიძლებოდა ყოფილიყო გერმანიის აგენტი და ბინძურ საქმიანობაში საკუთარი და ჩაერთო?! არა, ბატონო ჩემო! ლევან გორდელს თვალები წამოენთო, დაუძლურებულმა სახემ შეუსაბამოდ დიდი რისხვა გადმოაფრქვია.

– ბიძაშენი იმიტომ დაიჭირეს, რომ

მისი ბინა ბერიას თავისი საყვარლი-სათვის მოეწონა. დედაჩემიც გახვიეს ბინძურ გამონაგონში, რომ პოლონეთში მომუშავე კაცის შპიონად გამოცხადებას მეტი რეალური საფუძველი ჰქონოდა. ბიძაჩემი პოლონეთში, დედაჩემი თბილისში, შექმნეს ღერძი ლოძი – თბილისი! როდისმე დაწვრილებით მოგიყვები მათი დაპატიმრების დეტალებს".

როგორც ვთქვით, ლევან გორდელი იძულებული გახდა მოხალისედ წასულიყო ფრონტზე, რომ ამ გზით ოჯახის უდანაშაულოდ შებღალული სახელი აღედგინა და ერთადერთი შვილი მთელი ცხორების მანძილზე არ დაეტანჯა. იგი პირველსავე ბრძოლაში დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. ათასების მსგავსად მასაც შეეძლო საზღვარგარეთ დარჩენილიყო, მითუმეტეს „გერმანიის ჯაშუშის“ შვილს ცხოვრება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ის სულით და გულით პატრიოტი იყო, სამშობლო უყვარდა, ოჯახი უყვარდა, მის ღირსებას უფრო ხილდებოდა, მამასა და შვილს პატივს სცემდა.

ასეთი პატრიოტული განცდებით დაბრუნებულს ოცდახუთი წლის პატიმრობა და ციმბირის ყინულოვან კატაკომბებში სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდზე ტანჯვით სიარული არგუნეს. მამის ციმბირში ყოფნის ამბავი არჩილ გორდელმა სუკის მოქმედებით დაადგინა.

იგი ქვეშეცნეული სიხარულით ელოდა სიკვდილს გადარჩენილ და ბავშვურ წარმოდგენებში ვეება ვაჟკაცად წარმოსახულ მამას.

ერთ დღესაც, როდესაც ის და დედა სამზარეულოში ვახშობდნენ, ზარმა დარეკა. არჩილმა კარები გააღო და გაოცებისგან გაშეშდა: „კარში გამხდარი, თვალეზრაცხენილი, უცნობი იდგა. ნაცნობი უცნობი“.

დაბრუნდა ერთიანად გაუბედურებული მამა. იგი კაცად აღარ ვარგოდა, ღამე იატაკზე შარდავდა, ძილში გამწარებული ყვიროდა, ოფლში ცურავდა და წესიერად გავლასაც ვეღარ ახერხებდა. ერთ დროს დიდი მეცნიერების დაღით ხელდასხმული ახლა მუშაობაზე ფიქრსაც ვეღარ ბედავდა, ძირითადად იწვა და ოთახის ჭერს შესცქეროდა. საკუთარი კოსტუმები ნათხოვარივით ადგა ტანზე. ერთხელ მამის საფლავზე დიდი გაჭირვებით წასვლისას კოსტუმი ისე მოუჩანდა, თითქოს პატარა ბავშვს დიდი კაცის ნათხოვარი კოსტუმი ეცვა.

წვალობდა უმკაცრესი ტოტალიტარული რეჟიმით გათელილი და საცოდაობად ქცეული ლევან გორდელი, უძვეო იმედებს ებღაუჭებოდა ისიცა და მისი ოჯახიც.

ერთ დღესაც მოხდა საშინელი უბედურება.

მხატვრულ-ფსიქოლოგიურად მრავალ უძლიერეს ადგილებს შორის ეს ადგილიც უძლიერესია, ნამდვილად მძიმეა და ტკივილების აშშლელი. მამამ სთხოვა არჩილს რუსული ეკლესიისკენ გაესეინათ. დაიწყო გულწრფელი საუბარი მამა-შვილს შორის, საუბარი სუკის საშინელ უკუღმართობებზე, არსებულ მდგომარეობაზე, მოულოდნელად მიღებული თავისუფლების სირთულეებზე.

გურამ ფანჯიკიძის მიერ საოცარი სიძლიერით გადმოცემული უბედურების აღწერაც კი მიჭირს; ისევ რომანიდან მოვიტან ადგილს:

„უეცრად მოხდა საშინელი რამ. უკნიდან გერმანულმა ნაგაზმა დაჰყეფა. მამაჩემი უძალვე მიწაზე გაერთხა და თავი წინგაწვდილ მკლავებში ჩამალა. ირგვლივ სიცილი ატყდა. მამას მივვარდი და ფეხზე წამოვაყენე. საცოდავმა ტანსაცმელი ჩამოიფერთხა და შინისაკენ უსიტყვოდ გაემართა...“.

ლევან გორდელი სიტყვის უთქმელად გარდაიცვალა სამი დღის მერე. არჩილ გორდელის მეგობარმა ექიმმა მოუარა მიცვალებულს.

„მთელი სხეული ძაღლებისაგან ჰქონია დაკბენილ-დაგლეჯილიო, – მითხრა ექიმმა სააბაზანოდან გამოსვლისას ხელებს რომ იმშრალებდა.

რა მეთქი? – ვკითხე.

მთელი სხეული ძაღლებისაგან ჰქონია დაკბენილ-დაგლეჯილიო, – გაიმეორა მან.

არჩილ გორდელი ცდილობს საკუთარის სუსტი ბუნების გამართლებას, თითქოს დამაჯერებელი მიზეზებიც მოჰყავს, ოჯახსა და დედასაც იშველიებს, მაგრამ მკითხველის თვალში მაინც ვერ მართლდება, არყოფნისაკენ მიმავალი ნაბიჯების ხმა მაინც გარკვევით მოისმის.

მანანა შელიასა და სოსო ხომერაძის რომანტიკული შეუღლებით უძმაფრესად აფორიაქებული არჩილ გორდელი ხმამაღლა მსჯელობს და ცდილობს საკუთარ უსუსურობას, საკუთარ საქციელს, საკუთარ თავს რაიმე

გამართლება მოუძებნოს:

„ბოლოს და ბოლოს რა მოხდა, – იპოვა თითქოს გამოსავალი, – მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ნორმალური ადამიანი. გმირობაზე არასდროს მიოცნებია. რა მოხდა, მერე, თუ სოსომ მაჯობა? ის გავიდა მანანას გასაცვილებლად, მე გასვლა ვერ გავბედე. ის გავიდა იმიტომ, რომ რეპრესირებულ ოჯახში არ დაბადებულა და გაზრდილა. შიში, ხელისუფლების საშინელი შიში და ძრწოლა დედის რძესთან ერთად არ შეუწოვია. შიშს თავი დაეანებოთ, იქნებ მე ისე არ მიყვარდა მანანა, ამოდენა რისკზე რომ წავსულიყავი?“.

ბუნებით სუსტი, ცხოველური შიშით შეპყრობილი, მოჩვენებითად ძლიერი, ზნეობრივ კომპრომისზე ხშირად წასული პიროვნების გამართლება შეუძლებელია. უამრავ ამგვარ მოვლენას რეალური დასასრულისკენ მიყავს არჩილ გორდელი.

მომავალში სასიკვდილოდ განწირულის გარდაუვალობის შესახებ გურამ ფანჯიკიძე რომანის დასაწყისშივე ჩვეულებრივ დამაინტერესებელი მინიშნებებით მიგვითითებს:

„დღესაც თვალწინ მიდგეს მისი სევდით და სიკვდილით სავსე თვალები“...

„მივხვდი, დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა. სამწუხაროდ, არ შევმცდარვარ“.

„მე ხომ არჩილ გორდელთან უკანასკნელი შეხვედრის დროს მის თვალებში ჩამდგარი სიკვდილი დავინახე“.

„განა ჰქონდა რაიმე საერიოზული მიზეზი თუ სატკივარი, თვითმკვლელო-

ბით რომ დაემთავრებინა სიცოცხლე?“

გურამ ფანჯიკიძე ვრცელი და უაღრესად ტევადი რომანის მსვლელობის მთელ მანძილზე დიდი მწერლის ოსტატური ფილიგრანობით იკვლევს არჩილ გორდელის სულის სიღრმეს, იყენებს მხოლოდ დარწმუნების მეთოდს, საკუთარ შეხედულებებს თავს არავის ახვევს, შეუცდომლად მიჰყავს მთელი მოქმედება ლოგიკური დასასრულისაკენ და გვისაბუთებს, უნდა მოეკლა თუ არა თავი არჩილ გორდელს. სიკვდილ-სიცოცხლის ეს მარადიული პრობლემა მწერალს ბრწყინვალედ აქვს გადაწყვეტილი. „ეშმაკის ბორბლის“ წრედში მოქცეული არჩილ გორდელის სიკვდილი გარდაუვალი იყო.

* * *

რომანის ერთ ადგილას გურამ ფანჯიკიძე მთავარ მოქმედ გმირს არჩილ გორდელს ათქმევინებს: „მცირე-ოღენი შიში აგერ, ღღეს, მთლად დანგრევის პირას რომ მივიდა იმპერია, მაინც მაქვს სხეულში გამჯდარი. მაგრამ განა დღევანდელი შიში შეიძლება შევადაროთ მაშინდელს?!“

ამ ტევადმა ფრაზამ ბევრი რამ გამახსენა ჩვენი წარსულიდან, საიდანაც გამოყოლილი მწვავე შთაბეჭდილებაც უდავოდ იგრძნობა ამ ახალ, შეიძლება ითქვას გრანდიოზულ ნაწარმოებში, რომელიც შინაგანად კი ენათესავება წინა რომანებს, რაც სრულიად ბუნებრივ ლიტერატურულ მოვლენად მიმაჩნია, მაგრამ ამავე დროს არის თვალსაჩინოდ წინ გადადგმული ნაბიჯი და მწერლის შემოქმედებითი სიმწი-

ფის ხანის ბარომეტრული მაჩვენებელი.

„ეშმაკის ბორბალში“ შიშის გრძნობას, საბჭოთა წყობილების ტოტალიტარიზმსა თუ სუკის მწარედ შემოჭერილ არტახებს საკუთარ თავზე გამოცდილივით გრძნობს მკითხველი. 9 მარტის, ახალგაზრდა არჩილ გორდელის სუკში გატარებული დღეების, საქართველოში ნიკიტა ხრუშჩოვის ჩამოსვლის, შვილის გადარჩენის მიზნით დედის შემადრწუნებელი თავის დამცირების და სხვა უძლიერესი ადგილების მხატვრული გადმოცემით მწერალი უმაღლეს დონეზე აღწევს დასახულ მიზანს.

ეს სულში ჩაშრეკებული შიშნარევი ტკივილები გურამ ფანჯიკიძეს წამითაც არ ავიწყდება და წერის მანერაში, უტყუარი სიმართლის გადმოცემაში, მკითხველის დარწმუნებაში საუკეთესო კუთხით იჩენს თავს.

9 მარტის სისხლიანი დღეების ამბავს, პირუტყვი კაცისმკვლელებისაგან შემდგარი ბრბოს მიერ ქართველი ახალგაზრდების გაჟღელეტის ხაზგასმულ დიდმპყრობლურ სულისკვეთებას მწერალი საოცარი ძალით გადმოგვცემს არჩილ გორდელთან ერთ-ერთი მორიგი შეხვედრისას. თავს ვერ ვიკავებ მოზრდილი ნაწყვეტი მთლიანად რომ არ მოვიტანო:

„ვინ იცის, მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა. ჩემი გონებიდან კი ჯერაც არ ამოდის იმ წვრილთავა და ამოცვენილყვრიმალებიანი ჯარისკაცის სახე. ავტომატიანი ლაწირაკის გამოხედვაში ღღესაც უშუალოდ

ვერძნობ მუქარას, დაცინვას, ზიზღს, შურისძიებით მთვრალი პირუტყვის ტკობას. სად არის ახლა იგი? რას აკეთებს, არ აწუხებს სინდისის ქენჯნა, ტყვიით რომ დაცხრილა თავისი კბილა ბიჭები? საშინლად მაინტერესებდა და დღესაც არანაკლებ მაინტერესებს, პირველსავე წერილში რა მისწერა მშობლებს, სატრფოს, ნაცნობ მეგობრებს, თუკი მსგავს პირუტყვს შეიძლება ჰყავდეს მშობლები, სატრფო და ნაცნობ-მეგობრები. დარწმუნებული ვარ ისე ჩავალ სამარეში, ჩემს მეხსიერებაში არ წაიშლება მწვანე მუზარადში სანახევროდ შემალული წვრილთავა მკვლელის ლორწოიანი სახე“.

აქ დიდი განზოგადების ძალითაა დახატული მკვლელის ჰაბიტუსი, რაც გვარწმუნებს, რომ მისი მსგავსი პირუტყვები მტრად მოვლენილი პროფესიონალი მკვლელები იყვნენ.

9 მარტის დღეებში გამოჩენილმა გულადობამ, შემდგომ ახალგაზრდობის სისხლით დათხვრილი ნიკიტა ხრუმჩოვის მოსპობის ცდამ უძძიმესი როლი ითამაშა არჩილ გორდელის ცხოვრებაში. იგი სუკის ჯურღმულებში მოხვდა, გამანადგურებელი სუსხი მთელი სიმკაცრით იწვნია და დედის თავგანწირვა რომ არა, უეჭველია, ათასობით მისი თანატოლის მსგავსად დაღუპვა არ ასცდებოდა.

გურამ ფანჯიკიძე ისეთი ძალით ხატავს არჩილ გორდელის სახელმწიფო უშიშროების კლანჭებში მოხვედრას, იქ გატარებულ დღეებს, ფსიქოლოგიურ განცდებს და ფიქრების კალეიდოსკოპურ სრბოლას, რომ

ნათლად ჩანს ყველაფერი როგორი ძალით აქვს გადახარშული საკუთარ სულში და რომ თავადაც არაერთხელ უვლია მსგავსი საშიშროების ზღვარზე.

* * *

კარგად მახსოვს, რა აჟიოტაჟი გამოიწვია 1970 წელს ჯანსუღ ჩარკვიანის რედაქტორობით გამოშვებულ ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილმა და თუ არ ვცდები, 1972 წელს ცალკე წიგნად გამოცემულმა მისმა რიგით მეორე რომანმა „თვალი პატიოსანი“. ამ რომანის გამოჩენა მართლაც სიჩუმეში ყუმბარის გავარდნას გავდა და უკიდურესობამდე გაბედულ ნაბიჯს უკიდურესად მწვავე რეაქციაც მოჰყვა.

იმ დროს, როდესაც ქვეყნად სოციალისტური რეალიზმი და დადებითი გმირის იდეა ბატონობდა, უცებ გამოჩნდა ჩვენი „სოციალისტური, აღმავალი, არნახული“ ცხოვრების უამრავ სიმახინჯეთა აღმწერი და ნაქები სინამდვილეც შუშასავით დაიმსხვრა.

რა თქმა უნდა, გურამ ფანჯიკიძე მარტო არ იყო ამ უთანასწორო ბრძოლაში, მსგავსი გაბედულობით მოქმედებდნენ ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჩხეიძე, რეზო ჯაფარიძე, გურამ გეგეშიძე, არჩილ სულაკაური, თამაზ, ოთარ ჭილაძეები და სხვები, მაგრამ „თვალი პატიოსანი“ მაინც რაღაც განსაკუთრებულ მოვლენად იქნა აღქმული. ზემდგომი ინსტანციებისაკენ, მაშინდელი ცენტრალური კომიტეტისაკენ, დაიდრა საჩივრების ნაკადი, უდიდესი დაინტერესება გამოიჩინეს სუკის შესაბამისმა განყოფილებებმაც.

„ემპაკის ბორბლის“ შესახებ საკუთარი შეხედულებების წერისას ჩემს პირად არქივში წავაწყდი გურამ ფანჯიკიძის ერთ-ერთ საკმაოდ ვრცელ საჯარო გამოსვლას, როგორც ყველაზე გაბედულსა და სიმართლით სავსეს. ეს გამოსვლა მგონი არ დაბეჭდილა პრესაში და ამიტომაც მინდა მოვიტანო ზოგიერთი დამახასიათებელი ნაწყვეტი მაშინდელი რთული ვითარების წარმოსადგენად, რაც დღეს შეიძლება ბევრისათვის ძნელად წარმოსადგენია, მაშინ კი ბეწვის ხიდის გადალახვაზე უარესი იყო.

„რომანში ყველა საჭირობოროტო საკითხის მოგვარება არ მიმაჩნია სწორ ლიტერატურულ ხერხად. დავუშვათ, მე რომანში აღძრული საჭირობოროტო საკითხი გადავჭერი; განა ამით გადაიჭრება იგი ცხოვრებაში? მე პირიქით, ვცდილობ მკითხველს სწორედ ეს საჭირობოროტო საკითხი დავანახო მთელის სიგრძე-სიგანით და ჩავაგონო, რომ ბრძოლაა საჭირო მის აღმოსაფხვრელად. მე არ მინდა მისი ყურადღება მოდუნდეს საშიშროების მიმართ...“

აბა ვინ დარჩება მადლობელი იმ ადამიანისა, რომელიც ჩასაფრებული ელოდება მწერლის თუნდაც უმნიშვნელო შეცდომას, რომ იმავე წუთს სხვადასხვა ორგანოში გაიქცეს საჩივლელად... პირდაპირ ჩივილსა და ცილისწამებაზე არიან გადასულნი... მან (ასახელებს ერთ-ერთ სოლიდური თანამდებობის პირს) ჩემს ახალ რომანზე დაწერა ცილისწამებით, საზიზღარი ანგარიშწორებით სავსე 38 გვერ-

დიანი საჩივარი და პირდაპირ ცენტრალურ კომიტეტში შეიტანა...

ახლა წავიკითხავთ რამდენიმე ადგილს ამ ცილისწამებიდან (კითხულობს ციტატებს):

„აღვირახსნილი საქმიანობა, ზღვარს გადასული მომხვეჭელობა, პიროვნების დაუფასებლობა, დაუსჯეული მკვლელობა, დამნაშავეებთან შეკრული სამართალი, უსამართლობა, მექრთამეობა, პროტექციონიზმი, უნიჭობა, სიყალბე, რუტინა, სიმხდალე, სულმოკლეობა, თვითმკვლელობა, მეშჩანობა, გარყვნილობა, სკეპსისი, ცინიზმი... ცოტა ბევრი ხომ არ არის ერთი ნაწარმოებისთვის?“

ან: „ასე გამოიყურებიან რომანში დღევანდელი სოფლის მკვიდრნი. რით არ ჰგავს ეს არაქათგამოცლილი დედაშვილი XIX საუკუნის საქართველოს სოციალური ჩაგვრით წელში გაწყვეტილ სოფლის პატარა ადამიანს?“

ან: „ჩვენი თანამედროვე მუშა იგივე ავისმომასწავებელი ფატალური არსებაა, რომლის გამოჩენისთანავე ჩერდება დრო. აქ ავტორის ცილისწამება ყოველგვარ დასაშვებ საზღვარს გადასცილდა“ და ა.შ.

ამგვარი საოცრად საშინელი ბრალდებები, სამწუხაროდ, მაშინდელ ზემდგომ ინსტანციაში საინფორმაციოდ და ბუნებრივია, ზომების მისაღებად გაგზავნილ სუკის სრულიად საიდუმლო წერილებშიც მთლიანად იყო გაზიარებული. მე და გურამ ფანჯიკიძეს მოგვეცა ძალზე საშიში საშუალება, ერთად გავცნობოდით ერთ-ერთ ასეთ წერილს და ვნახეთ, თუ როგორი შეტ-

ევა ელოდა მწერალს გაბედული სიტყვის თქმისა და ყოველი ფეხის ნაბიჯზე არსებული ნაკლოვანებების გამომწვეურებისათვის.

ერთ პატარა ციტატასაც მოვიტან გურამ ფანჯიკიძის იგივე გამოსვლიდან, რომ კიდევ უფრო ხელშესახებად ვიგრძნოთ ის საშიში, დამთრგუნველი ვითარება.

„მე თუ რამეს ვწერ კრიტიკულს, იმიტომ ვწერ, რომ გული მტკივა, პირად უსიამოვნებასაც არ ვერიდები. ახლაც საზიზღარ ხმებს მივრცელებენ, სახლშიც მირეკავენ, მეშუქებიან, (მაშინაც ყოფილა მოღაში ასეთი სისაძაგლე). საქმე იქამდე მივიდა, რომ საღამოს დაგვიანებისა მეშინია, რადგან დედაჩემი შიშით კანკალებს. ამ ერთი კვირის წინ ცეკაში დაგვიბარეს რამდენიმე ქართველი მწერალი. როდესაც ტელეფონით დედაჩემს უთხრეს, ხვალ გურამი მოვიდესო, ქალს შიშით გული წაუვიდა“.

სრული ლიტერატურული სიმაართლისათვის აქვე უნდა ითქვას. – საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის ზოგიერთი წამომადგენლის მწერლობისადმი მხარში დგომა, საღი განსჯა და ახლებური მიდგომა რომ არა, ვერც გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“ და ვერც უამრავი სხვა ნაწარმოები დღის სინათლეს ვერ იხილავდა. ეს ცნობილი და ბევრჯერ ნათქვამი აზრია, რაც დღევანდელ განხილვასაც მიესადაგა.

* * *

გურამ ფანჯიკიძე ბუნებით გაბედული, მაძიებელი, დაბრკოლებებისადმი შუპოვარი პიროვნება არის და ყოველთვის იყო. თავისი ვაჟკაცური თვისებები მან ბევრჯერ დაამტკიცა განვლილი დროის მანძილზე. შეიძლება გავიხსენოთ თუნდაც მისი საპროტესტო გამოსვლები, სიტყვები, წერილები წინა წლებში, სხვა და სხვა ეროვნების, რჯულისა და კასტის მკვლახელების ბოღმით სავსე წერილებზე გაცემული პასუხები ან ავტობიოტიტ ხელში ბრძოლა სოხუმის აღმოდებულ და სიკვდილით სავსე ქუჩებში, რისთვისაც მან სამშობლოს უმაღლესი ჯილდო, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი დაიმსახურა.

სწორედ ასეთ მწერალს უნდა დაეწერა რომანი „ემმაკის ბორბალი“, მწერალს, რომელსაც გაბედულებასთან ერთად ახასიათებს სიკეთეც, მოყვასის სიყვარულიც, სამშობლოსა და ტრადიციული ოჯახის ერთგულებაც.

ოჯახის პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დგას ახალ რომანში და საქართველოსთვის ეს სასიცოცხლო პრობლემა შეეძლო დაეყენებინა პიროვნებას, ვისაც ჰყავს მეუღლე, სამი შვილი, მონოლითური ოჯახი, სადაც ყველა შემოქმედია, ყველა შრომობს და საკუთარი სამშობლოსათვის სასარგებლო საქმეს აკეთებს, რაც ძალზე ბევრს მაგალითად შეიძლება გამოადგეს.

სიკეთეზე, სასარგებლო საქმეების კეთებაზე შეიძლებოდა გამართულად

ელაპარაკა მწერალს, ვინც ცდილობს მხარში ედგეს ყველას, ძალ-ღონეს, ენერგიას, შესაძლებლობას, თანამდებობას, საკუთარ დროს არ იშურებს მის გარშემო მყოფთათვის, ახალგაზრდობისათვის და სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღევანდელი უკიდურესად გაჭირვებული ვითარების დროს მწერალთა კავშირის თავმჯდომარისაგან მწერლები ამდენ ყურადღებასა და დახმარებას გრძნობენ, რაც ათასჯერ უფრო მეტად უზრუნველი წლების დროსაც კი არ უგრძნობიათ.

ვისაც ეს იოლი საქმე ჰგონია, მაშინ სცადოს მსგავსი რამის გაკეთება, რათა დარწმუნდეს რა ძნელია დღევანდელ ვითარებაში ყოველივე ის, რასაც გურამ ფანჯიკიძე აკეთებს მხოლოდ საკუთარი სახელით, საკუთარი დამსახურებით. სწორედ ასეთი კაცური თვისებების შედეგი იყო ის, რომ გასულ წელს ჩატარებულ მწერალთა კავშირის ყრილობაზე არც უძებნიათ და საერთოდ არც მდგარა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის

საკითხი, რაც ძალზე რთულად გადასაწყვეტი იყო ყველა ყრილობის დროს.

ცოტა გადაუხვიე ჩემს სათქმელს, თუმცა ესეც ისევე და ისევე „შმაკის ბორბალის“ დიდი გავლენის გამო მოხდა.

ბუნებრივია, სათქმელი ბევრი მქონდა და ძალზე ბევრიც შემეძლო მეთქვა, მაგრამ ამას მთელი გაზეთიც არ ეყოფოდა, რაც სამწუხაროდ, შეუძლებელია.

დარწმუნებული ვარ სხვებიც, გურამ ფანჯიკიძის მრავალრიცხოვანი მეგობრები თუ მისი ნიჭის თაყვანისმცემლები საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავენ ამ ფართოპლანიანი და მრავალწახნაგოვანი რომანისადმი, რომლის საუკეთესო შეფასებადაც ჟღერს ჩვენი ურთულესი ცხოვრების მაღალმხატვრული მემკვიდრის ტიტული.

გურამ ფანჯიკიძეს გულწრფელად ვულოცავ ახალ დიდ შემოქმედებით წარმატებას, რაც მთელი თანამედროვე ქართული მწერლობის თვალსაჩინო წინსვლისა და გამარჯვების ტოლფასია.

ნუგ ზარ წერეთელი

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,
15-22 მარტი, 1996 წ.

მნიშვნელოვანი ნაწარმოები

ოცდახუთი-ოცდაათი წლის წინ თითქმის ყველა წიგნის, მით უმეტეს ახალი რომანის გამოსვლა დიდ ყურადღებასა და ლიტერატურულ მსჯელობას იწვევდა. თითქმის არცერთი ნაწარმოები შეუფასებლად არ რჩებოდა, კვალფიციური კრიტიკა კი მკითხველს აინტერესებდა, თითქოს გზას უჩვენებდა უკეთესად როგორ აღექვა ნაწარმოები.

სამწუხაროდ, ასე ხდებოდა მხოლოდ წლების წინ. ბოლო წლების მანძილზე მსგავსი სასარგებლო პრაქტიკაც შეიცვალა, გაუფასურდა, როგორც გაუფასურდა და აირ-დაირია ჩვენი სულიერი ცხოვრება. რაც ყველაზე უარესია, ლიტერატურული სისტემა დაიშალა, ერთეული ლიტერატურათმცოდნეების ცდები ამინდს ვეღარ ქმნის, ერთეული კრიტიკოსების მოწადინებაც მიზანს ვეღარ აღწევს.

მხოლოდ ახალგაზრდების თუ უკვე შუა ხნის ასაკს მიღწეული ლიტერატორების ძმკაცური თუ დაინტერესებული მიდგომებიც დიდი მიღწევებით ვერ გამოირჩევა, მამებლური ან გამიზნული სვლები ხშირად იოლად იმიფრება და გვარ-ტომობრივი მიდგომების მცდარ სურათს ქმნის, თვალში საცემი ხდება ახალგაზრდა დიდი მწერლების, გენიოსებისა თუ ცოცხალი კლასიკოსების ამბიციური მონდომება, რომ ნებისმიერი თუნდ დაუშვებელი მეთოდებით სასწრაფოდ გახდნენ პოპულარულები.

ამ მიდგომის მაგალითები უკვე უხვად მოგვეპოვება და ახალგაზრდობის

ერთმა მოხერხებულმა ჯგუფმა შეძლო მკითხველთა საშუალო ფენის ასე ვთქვათ გაცურება, მოჩვენებითობის მიღწევა და საკუთარი თავის გინდა თუ არა შეთავაზება. ჩვენი მკითხველების რიგებიდან ბევრს ეჩვენება, რომ მანიაკალური თუ პათოლოგიურ-სექსუალური მიმართულების დანერგვა უეჭველი მიღწევაა და საბოლოო გარკვევამდე სამწუხაროდ, ასე სჯერა.

ამ დროს უფროსი თაობების წარმომადგენლების, გამოცდილი და ათას ჭირ-ვარამ გამოვლილი შემოქმედების ნაწარმოებები, ძალიან მცირე აკვიატებული თუ ილბლიანი მწერლების გარდა, საჭირო შეფასებას ვერ იმსახურებენ და დროებით მაინც ყურადღების მიღმა რჩებიან.

გასული 2015 წლის სექტემბერში გამოვიდა ნუგზარ წერეთლის ახალი, ძალზე საინტერესო რომანი „გზები წყვილიადში“ და ჯერჯერობით შესაბამისი შეფასება არ მისცემია. ერთგვარი შენიშვნის სახით ისიც შეიძლება ითქვას, რომ თვით ავტორს, როგორც ვიცით არ მოუწევია პრეზენტაცია, არ მიუმართავს ჟურნალ-გაზეთებისა თუ რადიო-ტელევიზიისათვის, რომ მეტი ხმა და ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველებისათვის, ეტყობა, მას დიდად არ ეპრიანება ასეთი სახის აქტიურობები, დღეს საკმაოდ ბევრს რომ იტაცებს და ამ კუთხითაც თავგამოდებით საქმიანობას აჩალებენ, მეგობარ-ამხანაგებისა თუ თანამზრახველების დარაზმვას ახდენენ.

ახალი რომანის ავტორი ცნობილი და სახელმწიფო ხელისუფლების მწვერალზე, როგორც ჩანს იგი კვლავაც ეყრდნობა დევიზს – „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“, თუმცა დღეს საინფორმაციო თუ შემოქმედებითი აქტიურობაც საკმაოდ საჭირო სფეროა.

სარედაქციო კოლეგიის მიერ რომანს წამძღვარებულ წინასიტყვაობაში კვითხულობთ: „რომანი „გზები წყვილადში“ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაზეა შექმნილი და სულ ახლახანს უსასრულობაში გადასული მე-20 საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისს მოიცავს. ეს ის უმძიმესი პერიოდია, როცა ვეება რუსეთის გამძაფრებული მცდელობით საქართველოს ძირძველი კუთხეები – აფხაზეთი და სამაჩაბლო დაიკარგა, ღვთის მადლით დაიკარგა დროებით და არა სამუდამოდ, რისი იმედიც ყველა ქართველს ნაღვერდალივით გულის სიღრმეში აქვს შენახული.“

წინამდებარე მრავალპლანიანი რომანს წინ უძღოდა ორი ნაწარმოები ანუ ორი ტომი „დაუსრულებელი ზამთარი“ და „ქვების სროლის ჟამი“. პირველი ნაწილი გაცილებით სქელტანიანი 2005 წელს გამოვიდა, მეორე – 2010 წელს, ხოლო მესამე 2015 წელს. ამით შეიკრა ერთგვარი ლიტერატურული წრე და ქართულ მწერლობაში გაჩნდა ახალი ტრილოგია, რაც მოიცავს ოთხმოც წელზე მეტს გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ჩვენს არეულ-დარეულ წლებამდე, თუმცა ეს არეულ-დარეულობა ყოველთვის განუ-

შორებლად ახლდა ეპოქას და შეუბრალებლად არყვედა ყველას.

საკმაოდ ვრცელი და მრავლისმომცველი რომანი ძალიან დამაინტერესებლად და ერთგვარად ლიტერატურულად დამაინტრიგებელი სტრიქონებით იწყება.

„მანქანა ღამეში სწრაფად მიქროდა და ასფალტაცვენის ოღრო-ჩოღრო გზაზე, ბრახუნსა და რყევას აღარ ერიდებოდნენ. გარშემო საშიში, წებოსავით სქელი, განუჭვრეტელ სიმავედ შედელებული ღამე იდგა, არსაით არაფერი ჩანდა, სადმე მცირე სინათლეც კი არ კრთოდა, მანქანა თითქოს გრძელ და ბნელ გვირაბში იყო შესული. საშიში იღუმალებით სავსე ამ დაუსრულებელი გვირაბის დამთრგუნველი სიმძიმე ტვირთივით აწვებოდა მანქანაში მსხდარ ორივე მგზავრს“.

მკითხველს შეიძლება უცებ მოეჩვენოს, რომ დეტექტივის კითხვას იწყებს, მაგრამ ოდნავადაც არ არის ასე, ეს პწკარები ძალიან ცუდი მოლოდინის პრელუდიასავით გაისმის, რასაც დასაწყისიდან ბოლო წამამდე ცხოვრებაში ღრმად ჩახედული და ბევრი ადამიანის შთამაგონებელი შემოქმედი იწყებს და გამძაფრებული აღქმის უნარით მიჰყავს მთელი ნარატივის სიმძიმე. მწერალთა წრეში ისიც კი ითქვა, მომავალში ვინმეს რომ მოუნდეს დაწვრილებით გაიგოს რა ხდებოდა ჩვენს ცხოვრებაში ამ რთული ეპოქის დროს, შეუძლია გადაშალოს ნუგზარ წერეთლის რომანი და ყველაფერს ზედმიწევნით დამაჯერებლად გაეცნობაო.

ჩვენი აზრით და არა მარტო ჩვენი აზრით, ფართო მოცულობის ნაწარმოები სწორედ იმ მიზნით იქმნება, რომ სწორედ მომავალში საკუთარი სათქმელი, ცხოვრებისეული სიმართლე მიიტანოს და აჩვენოს მკითხველს, როგორ ცხოვრობდა ჩვენს დროში მრავალჯერ განაწამები ქართველი ხალხი და მთელი საქართველო.

კვლავ და კვლავ სურვილი გვიჩნდება წინასიტყვაობას დაეუბრუნდეთ და მასში ნაჩვენები კოლექტიური აზრი კიდევ ერთხელ მივიტანოთ მკითხველამდე ან იმ ადამიანებამდე, რომლებიც დაინტერესდებიან და საკმაოდ დიდი მოცულობის ნაწარმოების წაკითხვას გადაწყვიტენ:

„დამთრგუნველი სიბნელე და გაჭირვება ქვეყნის ახალ ხელმძღვანელობას თითქოს ფეხდაფეხ მოჰყვა. ეს რა თქმა უნდა, ერთი ან ორი ადამიანის ბრალი არ იყო, თავად საქართველოს ედგა უმძიმესი ცხოვრებისეული პერიოდი, ქვეყანა ერთბაშად ჩაწყვედიდა, ხალხს დაღამების თოფივით ეშინოდა, ყველა დროულად გარბოდა სახლში, სადღა იყო სამსახურის დამთავრების დრო ან ცნობილი პიკის საათები, შეიარაღებული გარეწრების გარდა ყველა ცდილობდა შინ მისვლა შელაშქრამდე მოესწრო, ოთხ კედელს შუა მაინც იქნებოდნენ გამომწყვდეულები, ქურდები და ყაჩაღები თუ არ დაესხმებოდნენ, დილაშდის მაინც გაიტანდნენ თავს. ღამით ქუჩებში სიარული ძალიან საშიში იყო, ათასი ჯურის დამწყები ან გამოცდილი დამნაშავე დათარეშობდა, ყველას ჰქონდა ნაშოვნი რეკოლვ-

ერი თუ ავტომატი და მათ უმოქმედოდ ხომ არ გააჩერებდნენ, უნდა ესროლათ კიდევ. გული ბოროტი საქმეებისთვის ერჩოდათ. ძველ ცხოვრებასთან შედარებით ქუჩა დამნაშავეების ერთ-ერთ ძირითად ასპარეზს წარმოადგენდა, თითქოს ბოროტების საბაჟოდ გადაქცეულიყო, მძიმე გადასახადის გადაუხდელოდ ფონს კერავინ გავიდოდა, გადასახადი ძალისა და სიცოცხლის ხელყოფის შიშით მიჰქონდათ“.

რომანი „გზები წყვილიაში“ მძაფრად და დინამიკურად ვითარდება. ძირითადი მთხრობელი, ანუ მთავარი მოქმედი პირი, როგორც ვთქვით, წინა ორი რომანის ანუ ორი ნაწილის მსგავსად აქაც გიგა მაჩაბელია, შესანიშნავი პიროვნება, ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტი და მოღვაწე, სამაგალითო კაცი, მისი მახვილი თვალი კარგად აღწერს ცხოვრების უამრავ სიმრუდეს.

ოთხასსამოცდახუთგვერდიანი ნაწარმოების მდინარება სიხლეების გათვალისწინებით მარტო ერთი მთავარი მოქმედი გმირისადმი არ არის მიძღვნილი. მთავარი მოქმედი გმირის უშუალო მონაწილეობით ვითარდება სამი დადებითი და უფრო მეტად უარყოფითი გმირების ცხოვრება გარკვეული პერიოდის დასაწყისიდან დასასრულამდე ანდა ასევე ცხოვრების გარკვეულ პერიოდამდე. ასე წარმოდგება ჩვენს თვალთა წინ და მთლიანად ექცევა ჩვენი მობილიზებული ყურადღების არეში აპოლონ უბირიას, ლიზი კოშაძის, ლუკა ნაკაიძისა და ზებედე შათაშვილის ცხოვრება. მათი ცხოვრე-

ბის გზები თითქოს სხვადასხვა მხარეს და სხვადასხვა განზომილებით მიემართებიან, მაგრამ ზოგჯერ გადაკვეთენ ერთმანეთს და შთამბეჭდავს სანახაობას ქმნიან.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი გმირებიდან, ერთ დროს უშნოდ და იმპერატიულად დაკანონებული დადებითი გმირის სახეებად გიგა მაჩაბელი და ზებო შათაშვილი არიან წარმოდგენილები. აპოლონ უბირია, ლიზი კოშაძე, ლუკა ნაკაიძე და ბევრი სხვაც მკვეთრად უარყოფითი გმირები არიან, რომელთა საშუალებითაც ავტორი ხორცს ასხამს რომანის ძირითად იდეას – კეთილისა და ბოროტის დღემდის დაუშთავრებელ ბრძოლას, რაც ყოველგვარი ძალდატანებისა და მონღომების გარეშე ბოროტის პირწმინდად განადგურებით მთავრდება.

სარედაქციო კოლეგიის წინასიტყვაობაში ნათლად ჩანს, რომ მისმა წევრებმა დიდი ყურადღებით წაიკითხეს მათივე კოლეგიის ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, ამის გამო პირდაპირ მიუთითებენ – რატომ არის გამოყვანილი ცხოვრებისეულ ასპარეზზე ამდენი უარყოფითი გმირი:

„გიგა მაჩაბელთან ერთად დადებითი გმირების მხარდამხარ უამრავი უარყოფითი გმირიცაა დახატული. მათი სიმრავლე თითქოს ცხადად გვიჩვენებს ჩვენმა დაღმავალმა ცხოვრებამ და ვითარებამ როგორ დააგრძელა ბოროტი და ავის მომტანი ადამიანების რიგი. თითქმის როგორც ყველა დიდ რომანში, აქაც მთელი ძალით, დაუნდობლობით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეჯახება

ბა სიკეთე ყალფზე შემდგარ ბოროტებას, მაგრამ რაც არ უნდა იყოს ცუდსა და მიუღებელს დროებითი აღზევების მიუხედავად, მაინც უეჭველი განადგურება, შეუბრალებელი გასრესა ელოდება“.

მხატვრული დამაჯერებლობით ზუსტად ასე ხდება რომანში: მხოლოდ ცუდისა და სიავის მომტანი ლუკა ნაკაიძე და მისი მეგობარ-თანამზრახველები იღუპებიან, ძალიან ცუდად აღმზრდელი შვილის მშობლებიც მის უმძიმეს ხვედრს იზიარებენ, დიდი თანამდებობის პირ უბირიას იჭერენ, მის ლამაზმან და ბუნებით გათახსირებულ ცოლსაც ერგება ციხის კედლები, ახალგაზრდობის წლებიდანვე გზასაცდენილი ნარკომანი ახალგაზრდა კოკა უბირიაც ტრაგიკულად სტოვებს წუთისოფელს და მისი სიცოცხლე სამწუხარო არარაობად ქცევით სრულდება.

რომანში ძალიან ბევრი საყურადღებო და საგულისხმო ვითარება დამაჯერებლად იჩენს თავს. ჩვენი აზრით ძალიან საინტერესოა მიგნებული და ძლიერ მწერლურ ხერხად გამოყენებული ლემის მოყვარული მტაცებელი ფრინველების – ძერების მრავალჯერ გამოჩენა და მათთან დაკავშირებული ჩამაფიქრებელი ისტორიები, რასაც ბევრ ადგილას ვხვდებით და ყველა შეხვედრა უჩვეულო მოლოდინით აღიქმება.

გიგა მაჩაბელი მატარებლით მიემგზავრება, ვაგონის კორიდორში მდგარი ჩვეული ინტერესით ათვალიერებს მიდამოს, „ამასობაში დიდი ლურჯი

ზღვა თვალს მიეფარა, გიგამ ჩვეულებ-
ისამებრ მიდამოს დაუწყო თვალიერე-
ბა, ცასაც ახელა და უცებ უსიამოვნო
შეგრძნებისაგან თითქოს გახევდა –
რუსეთის მხრიდან აფხაზეთისკენ მოყვი-
თალო-მორუხო ფერის მტაცებელი ძერე-
ბის დიდი გუნდი მოფრინავდა, ხანდახ-
ან მატარებლის გრიალშიც კი გაის-
მოდა უსიამოვნო ჭყიპინის ხმები. გი-
გას კვლავ გაუკვირდა, ეს მერამდენედ
ხელავდა ამ შედარებით პატარა, მაგრამ
საშინელ ფრინველებს, ლემის სიყვარუ-
ლით რომ გამოირჩეოდნენ, კვლავ და
კვლავ შეკვნესა გულმა, მტაცებელი
ფრინველების ასეთი მომრავლება რაღაც
ძალიან ცუდს მოასწავებდა, კერძოდ რას,
თავადაც არ იცოდა, მხოლოდ შინაგანი
შფოთით გრძნობდა რაღაც სასტიკი
არეულობის მოახლოებას და ეს უბე-
დურება უკვე დაწყებული იყო.“ „ღმ-
ერთო, მშვიდობა და სიკეთე მიეცი
საქართველოსო“, შესთხოვა უფალს.
დილის დამატრობელი გავლენით კარგ
გუნებაზე მყოფს, თითქოს ხასიათიც
წაუხდა და ცუდი გუნება-განწყობილე-
ბაც მოეძალა“.

ეს ძერების სერია ანუ ძალიან დიდი
სასიკვდილო საფრთხის მოლოდინი
ვრცელი ნაწარმოების დასაწყისიდანვე
იჩენს თავს და ადამიანების სულიერ
მდგომარეობას მზარდი საშიშროებით
აფორიაქებს. მოქმედი გმირები ადამი-
ანის ლემისმჭამელი საშინელი ფრინ-
ველებისა თუ მათ მიმსგავსებული ად-
ამიანების შესახებ რომანის თითქმის
დასაწყისშივე განცვიფრებულები და
ნანახით შეძრულები მსჯელობენ:

„ – დიდება შენდა ღმერთო, ეს რა

მეორედ მოსვლა ვნახეთ, აქ ყველაფერი
შეიძლება მოხდეს. ასე ჰგავდეს ად-
ამიანი ძერას თუ ძერად გარდაქმნილს,
მგონი ზღაპარშიც კი არ წამიკითხ-
ავს.

– რა გიკვირს შე კაი კაცო, მთე-
ლი აფხაზეთი ძერებით, სვავებით, ყვავე-
ბით დაიფარა, უკვე კარგა ხანია ად-
ამიანი ძერად და მტაცებლად იქცა.
ფარულად აკეთებს მსგავს რამეს, ესე-
ნი კი ნამდვილი სახით მოგვევლინენ,
ასეთ დროს ძერა რა გასაკვირია, უბრა-
ლად მტაცებლის რეალური ფორმაა
გამოხატული, – თქვა ზებომ.

– რა არის გამოხატული და რა
მიზნით, ძალიან ძნელი გასაგებია, თუმ-
ცა ერთი რამ ნათელია, ჩვენი საქმე არ
არის კარგად, ფაქტია, უფრო უარესად
წავა, ასეა როცა ქართველები ერთმა-
ნეთს დაერევიან და კლავენ, მაშინ ძერები
და სვავები მომრავლდებიან, – დაასკ-
ნა სამა ყაფლანიშვილმა“.

მტაცებელი ფრინველების ასეთი
მომრავლება სიცოცხლესთან
შეუთავსებელ უამრავ საფრთხეს შეი-
ცავს. ასეა, როცა მათი მოფრენისა და
საზარელი ქცევების შედეგად სამი
ქართველი ბიჭი იღუპება, რაც შავი
ბედის აღსრულების უმკაცრეს შთაბე-
ჭდილებას ტოვებს.

რომანის საგრძნობი ნაწილი ეძღვნე-
ბა ქართველებსა და აფხაზებს შორის
რუსეთის მიერ ინსპირირებულ
სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირე-
ბას. მწერლის მახვილი თვალითაა
დანახული ამ ორ ერს შორის ბრძო-
ლის დღეები, რაც ფაქტობრივად ვე-
ბერთელა რუსეთთან უთანასწორო

ბრძოლა იყო, ამას კი ორივე მოშულ-
ლე მხრიდან უამრავი ახალგაზრდის,
ისედაც მცირერიცხოვანი ერების
შვილების გენოფონდი შეეწირა. სოხუ-
მის ტრაგიკული ვითარება და ცხელი
აფხაზური დღეები საქმის ცოდნით,
დაკვირვებით, სიმართლით არის ასახ-
ული, ნათქვამია, რომ დიდ სახალხო
პატრიოტიზმს საკმაოდ ბნელი ძალის
ერთი მცირე ნაწილიც მიეტმასნა,
როგორც ეს ხშირად ან ჩვეულებრი-
ვად ხდებოდა ნებისმიერი ომის დროს,
სოხუმშიც იჩინა თავი ქურდობამ,
მოროდობამ, რაც ორივე მხრიდან,
თუ უფრო ზუსტად, სამივე მხრიდან
ხდებოდა.

რა თქმა უნდა, გახურებული ომის
დროს ქურდობა, ყაჩაღობა და
მოროდობა ერთი მცირე, ნებისმიერი
ასაკის ნამუსდაკარგულ წარმომადგენ-
ლების წრეს ეხება, თუმცა ესეც კი
სრულიად დაუშვებელია. ნამდვილი
მამულიშვილები ქვეყნის პეტრიოტები
სამშობლოსთვის თავდადებულად
იბრძოდნენ, ბრძოლის ველზე ეცემოდ-
ნენ, მტერს არ უშინდებოდნენ, მე-
ბრძოლების ერთი მცირე ნაწილი კი
ფულსა და ქონებას იყო დახარბებუ-
ლი, საშვილიშვილოდ შემარცხვენილი
უკეთური საქმისთვის ჰქონიათ ხელი
მოკიდებული. ავტორი პირუთვნელად
ხატავს მათ სახეებს და საშინელ
სასჯელსაც უწინასწარმეტყველებს, რაც
მთელი სიგრძე-სიგანით ხორციელდე-
ბა კიდევ.

საერთოდ, მწერლის სასახელოდ
უნდა ითქვას, რომ იგი მხოლოდ
ცალმხრივად, პათეტიკურად არ განიხ-

ილავს უმძიმეს პრობლემას, ცდილობს
სრული სიმართლის წარმოჩენას და
ამით უდიდეს პატივს მიაგებს, გულან-
თებულ პატრიოტებს, რომელთა საქმე
და სახელი უკვდავია უკუნითი უკუ-
ნისამდე.

ავტორი შეულამაზებლად ასახავს
ჩვენს ცხოვრებაში გამეფებულ ათასი
სახის მანკიერებას, რაც ხდება საზოგა-
დოებრიობაშიც, მთავრობაშიც, სა-
მართლიანობის სფეროშიც თუ მწერ-
ლობაშიც. მთავარი მოქმედი გმირი და
მისი მეგობარი ასეთი მანკიერი მოვ-
ლენების შესახებ გულისტკივილით და
დაუფარავი სიმართლით საუბრობენ,
მკაცრად აკრიტიკებენ შექმნილ მი-
უღებელ ვითარებას:

– „არა, ძმაო, ეს ქვეყანა არასოდეს
არ აშენდება, ყველა იპარავს, ხალხს
ძარცვავს და უზარმაზარ პირად სიმ-
დიდრეს იქმნის, იცის, რომ დროებით
არის მოსული თანამდებობაზე და უნდა
ძალიან ბევრი მოასწროს, რომ მერე
ცოლიან-შვილებიან-შვილიშვილებიან-
რძილებიან-სიძეებიანად ზღაპრულ ფუ-
ფუნებაში იცხოვრონ, არც სეიშელის
კუნძულები დაიკლონ, არც მაღდივები,
შენ კი შიმშილით რომ არ მოკვდე
ორას-სამას ლარს მოგიგდებენ, თან
ერთი ლარიც რომ მოიპარო, უფრო
ადრე დაგიჭერენ. საწყალ ადამიანს
არაფრის უფლება არ აქვს, სიღარი-
ბისთვისაა განწირული, ამ ქვეყანაზე
რაიმე თანასწორობის ძებნა სისულე-
ლე და ზღაპრად მოგონილი ამბავია“.

ცხოვრება კი თავის გზებით მი-
ემართება, ჯერ ბევრი ნაკლოვანებაა
გამეფებული, მაგრამ მომავლის იმედი

მაინც ცოცხლობს, აუცილებლად უნდა მოხდეს გარდაქმნათა წყება, მძიმე ვითარება შეიცვალოს, ბოლოს და ბოლოს ხალხმა მშვიდობით, იმედით, სიკეთითა და მომავლის გარანტირებული პირობებით იცხოვროს. ამის იმედი და მისწრაფება კი არასოდეს კვდება, მუდმივად ცოცხლობს და ცხოვრების მიზნის განმტკიცებას უწყობს ხელს. ვრცელი რომანიც ამ იმედით მთავრდება:

„... უაღრესად არეულ-დარეული, მთებში ნესტიანი ჯანლივით დამძიმებული ცხოვრების მიუხედავად, მცხოვრებლებს მაინც ჰქონდათ იმედი, რომ განუჭვრეტ წყვდიადში ჩაკარგული გზები გამოჩნდებოდა, განათდებოდა, მომავალში მაინც ყველაფერი უკეთესობისაკენ შეიცვლებოდა და ადამიანური ცხოვრება მათაც ეღირსებოდათ“.

ასე იმედიანად მთავრდება რომანი, რომელიც ძალიან ბევრ საკითხს, პრობლემას აყენებს ჩვენს წინაშე და მხ-

ატვრული სიტყვის ძალით მათი გამოსწორებისთვისაც იბრძვის. ნაწარმოები მართლაც მრავალპლანიანია, უამრავი ფიქრის აღმძვრელი, უამრავი კითხვის გამჩენი და პასუხის გამცემი. ამიტომაც იმედი გვაქვს, რომ ახალი მხატვრულ-პუბლიცისტური მიმართულების მნიშვნელოვანი ნაწარმოები სათანადო ადგილს დაიკავენ თანამედროვე ქართულ პროზაში და დამსახურებული შეფასებაც მიეცემა. მისი ფართო ზემოქმედების ძალის გათვალისწინებით. ჩვენი აზრით, რომანი ყველამ უნდა წაიკითხოს – ახალგაზრდამ თუ ხანდაზმულმა, ახალი თუ ძველი თაობის წარმომადგენელმა, რადგან ნაწარმოები ბევრი ადამიანის ფიქრებს მიესადაგება, ნათლად გამოხატავს საზოგადოებრიობის სულიერ მოთხოვნებს და ცხოვრების უკეთესობისკენ გარდაქმნის გულწრფელი მისწრაფებითაა შექმნილი.

ლ. ხმალაძე,
ფილოლოგიის დოქტორი

საჯიროა მითი პასუხისმგებლობა

გამომცემლობა „პალიტრა ელ“-მა 2016 წელს გამოსცა ძალზე საინტერესო ანთოლოგია „ქართული პოეზიის საგანძურის“ საერთო სათაურით.

წიგნმა, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრის და მათ შორის ჩვენი ჟურნალის თუ მისი სარედაქციო კოლეგიის დიდი ყურადღება დაიმსახურა.

ჩვენც დავიწყეთ სქელტანიანი წიგნის გაცნობა-განხილვა. ამავე პერიოდისთვის მწერალთა სხვადასხვა წრეებში მოვისმინეთ აზრი, რომ აღნიშნული წიგნი არის არათუ კარგი, არამედ მანკიერი გამოცემა, დიდი შეცდომებით საკვსე, და ამდენად მიუღებელიც. ასეთი წიგნი იწვევს თუნდაც პოეტებს, შემოქმედებს შორის უსიამოვნო დაძაბულობას, გაკვირვებას, ეჭვებსა თუ დაცინვის განცდებს. ამავე დროს გარკვევით ჩანს ნაკლები ცოდნა, აჩქარებულობა თუ ამჩატება, ყბადაღებული ორიგინალობისა თუ ფსევდოსიანლების ძებნის სურვილი.

რასაკვირველია წიგნში არის საუკეთესო ნაწილები, წარმოდგენილია ბევრი ცნობილი და მართლა საუკეთესო ლექსი, მაგრამ საერთო სურათი მაინც ვერ უძლებს კრიტიკას.

საუბრისას ისიც მოვისმინეთ, რომ რედაქტორობასთან ერთად წიგნის შემდგენელია სალომე ნიკოლეიშვილი. ვინ არის მკითხველისათვის საერთოდ უცნობი ანუ არაფრისმთქმელი ქალბატონი თუ საქალბატონე პიროვნება, არავინ არ იცის. ვინ არის საერთოდ

ეს ნიკოლეიშვილი, რომელმაც გაბედა და საკუთარ მხრებზე ტვირთად დაიდო ქართული პოეზიის ცოდნაც, გამოცემის დიდი მიზანიც, ამ მიზნისკენ მიმავალი გზებიც, რედაქტირებაც და ნამდვილად მძიმე პასუხისმგებლობაც.

სქელტანიანი წიგნის შინაარსობრივი მხარე რასაკვირველია, აინტერესებს მკითხველს, ჩვეულებრივი ეფექტურობით მიდის ლექსების ნიაღვარი მისკენ, არის ზოგიერთი შენიშვნაც. მიუხედავად ამისა თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ როგორც კი შემდგენელი თუ შემდგენლები თანამედროვეობას მიადგებიან, ყველაფერი იშლება და ირევა, როგორც საერთოდ არის არეული არნახულად დაკნინებული დღევანდელი სულიერი ვითარება, სულიერი ფასეულობები, თანამედროვე პოეზიაში თუ კრიტიკაში გამეფებული განუკითხაობისა და უფროსი თაობის პოეტების უპატივცემულობა – დაუფასებლობის სულისკვეთება. აქაც გამოკვეთილად ტრიალებს ამბიციური წარმოდგენების, საკუთარ თავზე ძალიან ბევრის აღების, ნაკლებმცოდნეობის, ქართული პოეზიის საგანძურში ერთი ხელისმოსმით თუნდაც უმცირესი წვლილის შემტანი და ამ განუწყვეტელ პროცესში ჯერ კიდევ დაუმსახურებელი, ნაკლებად ნაცნობი და ნაკლებად გახმაურებული პოეტების შეყვანა პირადი ნაცნობობისა თუ ინტერესების გათვალისწინებით.

აქ გაგვანსენდა და გვინდა მაგალითად მოვიტანოთ მწერალთა კავშირის

ზოგიერთი ნაკლებმცოდნე თუ თავზე-
დი შემდგენლების მიერ რამდენიმე
წლის წინ გამოცემული სქელტანიანი
ქართული პროზის ანთოლოგია, სადაც
არა ერთი და ორი საერთოდ უცნობი
თუ უნიჭო ავტორი ჰყავდათ შეყვანი-
ლი ჩაწყობისა თუ გამორჩენის პრინ-
ციპით, ამ ფაციფუცში ქართული მწ-
ერლობის მშვენება და აღიარებული
კლასიკოსი გურამ რჩეულიშვილიც კი
დაავიწყდათ.

მეტ-ნაკლებად ასე ხდება საგან-
ძურად წოდებულ ახალ ანთოლოგია-
შიც. აქაც შემდგენლებმა, რა თქმა უნდა,
იჩქარეს და სასწრაფოდ შეიყვანეს
ოქროს ფონდში ქეთევან შენგელია, ზაზა
ჰერელი (სუყაშვილი), ფარნა-ბექა
ჩილაშვილი, გიორგი ლობჯანიძე, ნინო
დარბაისელი, ნინო სადღობელაშვილი
თუ კატო ჯავახიშვილი.

ამ სიიდან ორიოდე პიროვნება
ამკარად კუთხურობისა და კოლორიტ-
ულობის ნიშნით არის შეყვანილი. თუკი
ასეთი სპეციფიკა გაითვალისწინეს,
რატომ დაავიწყდათ ბრწყინვალე პოე-
ტი ეთერ თათარაიძე, ვინც საქართვე-
ლოს დიდებული კუთხის მაღალმთიანი
თუშეთის პოეზია გააცოცხლა, ფართო
მკითხველისათვის მიმზიდველად ააჟღ-
ერა და თუშური კილოკავით ალბეჭდ-
ილი მშვენიერი ლექსებით გაამდიდრა
არამარტო პოეზიის, არამედ ხალხის
სულიერი საგანძურიც.

სწორედ ასეთი უთავბოლო სიტუ-
აციისა და შედარებით ახალგაზრდა
მწერლების, უკვე ცოცხალი კლასიკო-
სების, შემდგენლების, უნიკალურებისა
და ყოვლისმცოდნეების შესახებ წერ-

და საგაზეთო წერილში სათაურით: „ვაი,
ჩვენი ლიტერატურის ბელო!... (ციკლ-
იდან „დროის იეროგლიფები“), ჟურ-
ნალ „ჩვენი მწერლობის მთავარი რე-
დაქტორი რ ჩხეიძე:

„თამთა მელაშვილი, ეტყობა გენ-
დერული აუცილებლობით ჩართეს ამ
ჯგუფში (ლაპარაკია მწერალთა
ჯგუფზე) ნიჭის ნასახს ნამდვილად რომ
ვერ ვიპოვნით მის ჟანრობრივად
გაურკვეველ ნაწერში, მაგრამ საკითხა-
ვია, რა ნიშნით, რა დამსახურებით შეარ-
ჩიეს რჩეულთა მეხუთე წევრად მაინცდ-
ამაინც იგი და არა, ვთქვით მასზე ასი
თავით მაღლა მდგომი ნაირა გელაშ-
ვილი და მაკა ჯოხაძე. აღარაფერს ვამ-
ბობ ათი და ხუთი თავით მაღლა მდგო-
მებზე, საკმაოდ რომ მოგვეპოვებინა...“

ჩვენი თანამედროვე ქართული
ლიტერატურა დამცირებასა და აბუჩად
აგდებას არ იმსახურებს...“

პალიტრა ლ-ი თვითნებურად
წყვეტს, ვინ შევიდეს პოეზიის საგან-
ძურში, ვინ დარჩეს სამუდამოდ მის
ოქროს ფონდში. ასეთ დროს ზოგი-
ერთი თეთრი ლექსის მეხოტბე ვაინო-
ვატორი თუ ნებისმიერი საეჭვო სიახ-
ლით ყურადღების მძებნელი მანი-
აკალური პიროვნების ისეთ ლექსებს
აქვეყნებს, რაც არავითარ სასარგებლოს
არ მოუტანს თუნდაც ჩვენს ახალგაზრ-
დობას ან ქართულ პოეზიას.

ამასთან დაკავშირებით თუ ამის
საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტან-
ოთ ერთი გადაკითხვისთანავე მოპოვე-
ბული „მარგალიტები“ ქართული
პოეზიის პალიტრისეული საგანძური-
დან, ავტორებსაც აღარ მივუთითებთ,

რადგან აქ ლაპარაკია თანამედროვე პოეზიის საერთო სისტემად ქცეულ სასაცილო ამბიციურობაზე, ხოლო, ვინც დაინტერესდება აღნიშნულ წიგნსაც გადაშლის და წაიკითხავს:

1. „რომელი საათია“

გ. ტაბიძეს

„შენ უკვე აღარ ხარ!
კვლავ შუალამე,
კვლავ ვერცხლის პერანგი,
კართან დაჩოქილი
სიკვდილის ჟანგი“.

2. „სიკვდილი“

„ზეცის მეცხრე აივნიდან
მშობელი გვიხმობს:

- გეყვით თამაში, ძილის დროა,
- ამოდით მალა!“

3. „დაცემამდე“

„ზაფხულის დილა.
ბალახის ღეროს წკიპზე
კიღია წვეთი“.

4. „მიუწვდომლობა“

„ზამთარი, თოვლი.
კარალიოკი ისევ
ხის წვერზე დარჩა“.

5. „სიცოცხლე“

„მზემ დახატა კაცი.
ძველი სახლი კი დგას,
ხვლიკს მოუხმობს ხვლიკი“.

6. „სიყვარული“

„გაშლილ მდელიოზე
დაგორდა ვაშლი, თავბრუ

დაეხვა ჭიას.

ცივი გრანულა

დადგა ზამთარი.

მიწიდან ხეზე ველარ

ფრინდება ჩიტი“.

7. „დილისპირული ორისთვის“

„... შემდგომ ხომ დრო ბრუნდება
საწოლში მძიმედ.

ახლა ისეთი სიახლოვე მინდა,
რომ მღლიდე.

ახლა ისეთი სიახლოვე მინდა,
რომ გავძლო...“

ახლა საქართველოში სექსუალური მოძრაობისა თუ ლტოლვის ბუმი დგას, და ალბათ შემდგენლების გული სწორედ ამ ლტოლვამ მოინადირა და უაპელაციოდ მიაკუთვნეს ქართული პოეზიის საგანძურს. ამ დროს სექსუალური პრობლემით გართულ შემდგენლებს დაავიწყდათ ისეთი აღიარებული პოეტები, რომელთაც გამოცემული აქვთ 15-20 და მეტი წიგნი, ვინც მრავალწლიანი მოღვაწეობით დაიმსახურა დიდის, გამოჩენილის, თვალსაჩინოს თუ ცნობილი ქართველი პოეტის ძალიან ძნელად მოსაპოვებელი წოდება.

ასე იქნა გამოტოვებული ყოველსმცოდნე შემდგენლების მიერ ქართული პოეზიის საგანძურის აწ უკვე მანკიერად წოდებული პრეტენზიული ტომეულიდან, ღვთის მადლით ჯერ კიდევ ცოცხლები: რეზო ამაშუკელი, გენო კალანდია, ანზორ აბულაშვილი, ნუგზარ წერეთელი, მანანა ჩიტიშვილი, შოთა ზოიძე, რაულ ჩილაჩავა, მაყვალა გონაშვილი, ეკა ბაქრაძე, ბადრი ქუ-

თათელაძე, დოდო ჭუმბურიძე, ზაალ ებანოიძე და სხვები, ხოლო წასულთაგან: ოთარ მამფორია, ჯემალ აჯიაშვილი, ნაზი კილასონია, ლილი ნუცუბიძე, ჯემალ ჩახავა, თამარ ერისთავი, დავით მჭედლური და სხვები. (შეიძლება ჩამოთვლაში ზოგიერთი უზუსტობაც იყოს, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით).

აშკარა მიკერძოებულებით, უცოდინარობით, არასათანადო კონსულტაციებით, პირადი დამოკიდებულებით თუ დაინტერესებით უნდა დაკვალიფიცირდეს მთელი ეს მანკიერება, რაც, სამწუხაროდ, დღეს ყველა სფეროშია გამეფებული და რასაც მრავალი მიმართულებით დანერგილი ზიზღი განაპირობებს.

ძალიან კარგია „ქართული პოეზიის საგანძურის“ სახის ძვირფასი გამოცემა, სანაქებოცაა და მისასაღმებელიც, მაგრამ თავხედობასა და მიკერძოებულებას არ უნდა მივესალმოდეთ, მანკიერება არ უნდა დავენერგოთ და ფულის გულისთვის არც მანკიერი წიგნები დავბეჭდოთ, სანამ მაღალ დონეზე არ იქნება განხილული, შეჯერებული და მწერლების კვალიფიციური კომისიის მიერ ვიზამციებული.

ამ პატარა წერილის დაწერა ძალიან გვიან მოხდა, თუმცა იმედი გვრჩება, რომ მომავალში მაინც, ვინმე წესიერ, პატიოსან მიდგომაზე ორიენტირებული რომელიმე ანთოლოგიის მიუდგომელი შემდგენელი მაინც გაითვალისწინებს.

ტარიელ სტურუა

ბიბლიოთეკა რელსეგზე

ბორჯომის ხეობა და ქალაქი ბორჯომი რომ ყველა ქართველისათვის უსაყვარლესი ადგილია, ამას ჩემი მტკიცება ოდნავადაც არ სჭირდება. ეს უძველესი ქართული კუთხე ყველას ალტაცებას იწვევს. პირადად მე სამოცდაათ წელიწადზე მეტია სისტემატურად ვსტუმრობ ამ ქალაქს და დღემდის არ მომწყენია.

პირველად ბორჯომის ხეობაში დედამ ჩამომიყვანა 1943 წლის ზამთარში, როცა ჯერ რვა წელიც კი არ შემსრულებოდა და პატარა ცემის სკოლა-ინტერნატში დამტოვა. მაშინ

გაჭირვებული ოჯახის ბავშვებს კარგი სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის წახალისების მიზნით აქეთ უშვებდნენ საგზურებით. მამაჩემი მწერალი აკაკი პავლეს ძე წერეთელი პოლიტიკური მუხლითა და მოტივით ციხე-კოლონიებში იჯდა, 1941 წელს დაპატიმრებულს მისჯილი ჰქონდა 10 წელი ციხე მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, 5 წლით ქ. თბილისიდან გასახლებით და ქონების სრული კონფისკაციით. ამ განაჩენამდე მას დახვრეტის მუხლი ჰქონდა წაყენებული საბჭოთა წყობის წინააღმდეგ პროპა-



ლიკანი, 1987 წ. მეორე რიგი – მარცხნიდან ნუგზარ წერეთელი, აკადემიკოსი სარგის ცაიშვილი, სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი, მარჯვნივ აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, საქართველოს „სამტრესტის“ მმართველი, პროფესორი თამაზ კანდელაკი და სხვები.

განდისა და მენშევიკურ-კონტრ-რევოლუციური ლიტერატურის შენახვისთვის, შემდეგ კი „ჰუმანურმა“ ხელისუფლებამ სასჯელი შეუცვალა.

იმ გაჭირვებითა და შიმშილით სავსე წლებში მესამე კლასიდან რვა კლასის ჩათვლით სულ პატარა ცემში დავდიოდი ხან მარტო, ხან ძმასთან ერთად. ხალხის მტრისა და მოღალატის შვილებს ინტერნატში ვინ გამოგვიშვებდა, მაგრამ დედას მეგობარი, კლასის დამრიგებელი თამარ ჯაფარიძე ყველგან ამბობდა, რომ მამაჩვენი ფრონტზე იბრძოდა და მარტოხელა დედა სამ ბიჭს გვზრდიდა. ამის გამო საგზურების მიღება ყოველთვის გვიწევდა, რაც იმ უსაშინლეს წლებში დიდი შეღავათი იყო.

მერე მამაჩემის ციხიდან გამოსვლისა და ქ. ცხინვალში გასახლების გამო ოთხი-ხუთი წელი იქ, ძირძველ ქართულ ქალაქში ვცხოვრობდით და ვსწავლობდით. სტუდენტობის წლებში კი დედაჩემის ძმა ჩარხისწყალზე მდებარე ბორჯომის შუშის ქარხნის წარმოების უფროსი და დირექტორი იყო. რამდენიმე წელი მთელი ზაფხული და არდადეგები სულ მასთან ვიყავი. ისე რომ ძველ ბორჯომელად შემიძლია მივიჩნიო თავი.

უკვე მაშინ პატარა ბიჭი და შემდეგ ახალგაზრდა კაცი, მრავალი ჩემი ნაცნობ-მეგობრის მსგავსად ქართულ და უცხოური ენებიდან თარგმნილ არცერთ წიგნს წაუკითხავად არ ვტოვებდით, ვტოვებდით კი არა პირდაპირ ვყლაპავდით, ბიბლიოთეკებში დაკეტვამდის ვისხედით, დიდი თხოვნის

შემდეგ სახლში საღამოს დილითვე დაბრუნების პირობით მიგვქონდა წიგნი, ღამეს კითხვაში ვათენებდით. უკვე მაშინ და შემდეგაც ხშირად მისარგებელია პატარა ცემის, ბორჯომის, ლიკანის მშვენიერი ბიბლიოთეკებით.

ლიკანშიც კარგი ბიბლიოთეკა იყო, ახლა სად არის ის წიგნადი ფონდი წარმოდგენა არ მაქვს, ალბათ ყაზახებს, ვისაც თავის დროზე ლიკანი მიჰყიდეს, მაინცდამაინც არ დააინტერესებდათ ქართული წიგნები და ალბათ, გადაჰყარეს კიდევ.

ეს ცალკე საუბრის თემაა რამდენად გამართლებული იყო ლიკანის გაყიდვა, კიდევ კარგი ე.წ. სტალინის, სინამდვილეში რომანოვების აგარაკი და საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაც არ მიაყოლეს.

რა ისეთ სარგებლობას მოუტანდა საქართველოს ლიკანის ცნობილი სანატორიუმის გაყიდვიდან შემოსული ათი მილიონი, ხალხის ჯანმრთელობის საქმე კი ალბათ, მილიარდით და მეტიც დაზარალდა, დაიშალა მთელი კომპლექსი, დაინგრა კორპუსები, მათ შორის შედარებით ახლადაშენებულიც კი, აშენდა ერთი უგემოვნო და უსახური დიდი შენობა ბორჯომი – რიქსოსი, სადაც სიძვირის გამო მხოლოდ ერთეული ახალი ქართველები თუ მოხვდებიან.

მართალია, ადრე ლიკანის სანატორიუმშიც ნომენკლატურული მუშაკებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ არანომენკლატურული პირებიც ხშირად ისვენებდნენ. ხომ შეიძლებოდა ხალხისთვის პატივი ეცათ, ეს სიჯანსაღის



ნუგზარ წერეთელი მეუღლესთან ერთად (მარჯვნიდან პირველი) ბორჯომის ცენტრალური სარაიონო ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან (ბორჯომი, 2010 წ.).

კერა არ მოეშალათ, თუ გასაჭირი იყო დასვენება გაეძვირებინათ, მკურნალობა, როგორც ყველგან, ფასიანი გაეხადათ, ოღონდ ლიკანის სანატორიუმი დარჩენილიყო და ეარსება.

ბორჯომში ახლა მგონი არაფერი აღარ კეთდება ან კეთდება ძალიან ცოტა და სრულიად არასაკმარისი. თუმცა არის სასიხარულო სიახლეც: ბოლო წლებში როგორც იქნა უძველესი შენობა, რუსეთის ჰოსპიტლად ცნობილი, გადაკეთდა და ახალი კორპუსებიც აშენდა, რომ შექნილიყო მშვენიერი სასტუმრო-სანატორიუმი ბორჯომი-პალასი. ახალ დაწესებულებას შესანიშნავად ხელმძღვანელობს ცნობილი საფინანსო-სამეურნეო მუშაკი თემურ სტეფნაძე. აქ ყველა პირობა შექმნილი დამსვენებლებისათვის, ტარდება ნამდვილად მაღალი დონის პროცედურები, ძალას იკრებს კულტურული ცხოვრება, ექსკურსიები, კინოფილმების ჩვენება.

საკმაოდ მრავალრისცხოვან სამედიცინო კოლექტივს ხელმძღვანელობას უწევენ გამოცდილი, მაღალი დონის ექიმები – ექიმი-თერაპევტი ნანა კურტანიძე, ექიმი-რადიოლოგი ნელი მარგველაშვილი, ექიმი-კარდიოლოგი დოდო ჩოფიკაშვილი, სამეცნიერო კონსულტანტი, ცნობილი უროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გოგი ჟვანია, ექიმი-უროლოგი იური წერეთელი და მრავალი სხვა. ამასთან ერთად „ბორჯომი-პალასს“ ჰყავს მაღალი დონის საშუალო-სამედიცინო პერსონალი, ფუნქციონირებს საუკეთესო კვების ბლოკი და ა.შ. სანატორიუმის მედპერსონალი სიყვარულით, სითბოთი და კულტურული მიდგომით ემსახურება დამსვენებლებს.

იმედია ღირსეული წიაღსვლის შემდეგ ისევ ჩემს ძირითად საკითხს ვუბრუნდები. ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციან წლებში ბორჯომბალში (როგორც მაშინ ვუწოდებდით) მივლინებით მყოფი ბორჯომის სარაიონო ცენტრალურ ბიბლიოთეკასაც ვეწვიე. მაშინ ბიბლიოთეკა ბორჯომის ცნობილი სასტუმროს, რომელიც უმიზნოდ დაანგრის, გვერდით მდებარე შენობაში ფუნქციონირებდა და ძალიან მომეწონა. მას მერე დღემდე, ნახევარ საუკუნეზე მეტი დროის მანძილზე ცენტრალური სარაიონო ბიბლიოთეკა სულ აქეთ-იქით, ადგილიდან ადგილზე გადაჰყავდათ, რაც თითქოს ჩვენი ცხოვრების დონის, კულტურის დაცემასაც გამოხატავდა.

იმ შორეულ წლებში ბორჯომის

ცნობილ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა შესანიშნავი პიროვნება, პატრიოტი და საქმის მცოდნე ადამიანი ზინა დავითის-ასული მელაძე-დადიანი, რომელსაც რამდენჯერმე ვესაუბრე და მალე ბევრი საერთოც გამოვინახეთ.

ბორჯომის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი გამაცნო ჩემმა ახლო მეგობარმა, მაშინ ბორჯომის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ, ანუ დღევანდელი გაგებით ქალაქის მერმა, დაუვიწყარმა პიროვნებამ ლევან ბასილაიამ. შემდეგ ბორჯომში ჩასვლის დროს თითქმის ყოველთვის შევივლიდი ხოლმე ბიბლიოთეკაში და ეს ჩე-ვულება დღემდის შემომრჩა.

1980 და 1984 წლებში ზედიზედ 10 და 20 ათასიანი ტირაჟებით გამოიცა დიდი ქართველი მწერლის, ჩემი უახლესი მეგობრის გურამ რჩეულიშვილის ლეგენდად ქცეული ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ჩემი პირველი წიგნი „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“.

ჩემს პირად არქივში აღმოვაჩინე 1984 წლის 17 ივლისით დათარიღებული ქალბატონი ზინას წერილი, ნაწყვეტები მომაქვს სიტყვა-სიტყვით, სტილის დაცვით:

„ჩემო ნუგზარ! იყავით მუდამ ჯანმრთელად, ოჯახით და ახლობლებით. გისურვებთ წარმატებას და ღიდხანს სიცოცხლეს.

ჩემი ბიბლიოთეკა ისევ იმ შენობაშია. პოლიკლინიკა განკუთვნილი იყო პიონერთა სახლისათვის, ახლი კი დადგინდა ახალი ბინის აშენება პიონერთა სახლისათვის, ისე რომ შეი-

ძლება თქვენი ჩარევა. წიგნის დაზიანება, რაც ჩვენთან ყოველდღე მატულობს, ეს არის პირდაპირ მკვლელობა“. (იმ პერიოდში საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი ვიყავი და იმიტომ ჰქონდა ჩემი იმედი. მე ყველაფერი ვუთხარი კულტურის მინისტრს, გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს, შესანიშნავ ადამიანს ოთარ თაქთაქიშვილს და რაც შეიძლებოდა საჭირო ზომებიც იქნა მიღებული).

შემდეგ დირექტორი ჩემი წიგნის შესახებაც მწერს: „მე არა მგონია ასეთი მგრძნობიარე მკითხველი თუ კიდევ არის რომელიმე რაიონში. ამ წიგნს მოსვენება არ აქვს. მე ასეთ წიგნებს მუშა წიგნს ვეძახი...“

...ჩვენი მუშაკები ამისათვის არიან დარაზმულნი. ძალიან დიდი, დიდი მოწონება დაიმსახურა თქვენმა წიგნმა“.

აქ მოტანილი წერილი დაიწერა 1984 წელს, ზუსტად 32 წლის წინ. უკვე მაშინ იყო დაწყებული ბორჯომის სანაქებო ბიბლიოთეკის აქეთ-იქით ბურთაობა, რაც ძალზე კულტურული ბორჯომ-ქალაქის ძველი თუ ახალი ხელმძღვანელობის სახელს გარკვეულ ზრდილს აყენებს.

ბოლო წლების მანძილზე, რაც მე უფრო მეტი ინტენსიურობით განვაახლე მკურნალობის მიზნით ბორჯომში სიარული, თითქოს საკუთარი თვალით ვიხილე ასწლოვანი კულტურის კერის გადაყვანა-გადმოყვანის პროცესი.

თუ არ ვცდები 2008-2010 წლებში ბიბლიოთეკას ნამდვილად შესაფერისი და სასიამოვნო ადგილი გამოე-



ნუგზარ წერეთელი მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად, ლიკანი, 2004 წ.

ნახა და ბორჯომ-პარკის ტრადიციულ ცენტრში, გამგეობის შენობის წინ ფართო დარბაზებში განლაგდა. საკუთარი თვალთ მამკეს ნახა, როცა მეუღლესთან ერთად მოვინახულე ბიბლიოთეკა, საკმაოდ დიდი სამკითხველო დარბაზი როგორ იყო სავსე ხალხით. ცენტრში, მოხერხებულ ადგილას ბევრი მიდიოდა, წიგნებსაც იღებდნენ და ახალ ჟურნალ-გაზეთებსაც ეცნობოდნენ.

შემდეგ ჩასვლაზე ცენტრალური ბიბლიოთეკა ბორჯომის რაიონული გამგეობის შენობის უკან, მოფარებულ

ქუჩაში იყო გადატანილი. 2014-2015 წლებში გამგეობის მაღლივი შენობაც გაიყიდა, ის შენობაც, სადაც ბიბლიოთეკა იყო მოთავსებული ალბათ ზედ მიაყოლეს, რამაც გამოიწვია ტანჯული ბიბლიოთეკის აყრა და უკვე ცენტრიდან დაშორებით ნომერ პირველი თუ მეორე სკოლის ოთახებში გადაბარგება.

აქვე უნდა ითქვას, რომ რაც მდიდარი წიგნადი ფონდისა თუ ბიბლიოთეკის სახელზე რიცხული ავეჯის გადატანას დრო და თანხები დასჭირდა, ბიბლიოთეკის პრობლემას რომ მოხმარებოდა, თავისუფლად ამუშაობდა ქალაქში თუნდაც ერთსართულიანი შენობა დარბაზ-საცავებით და ათეულობით წლების მანძილზე გაუგებარ მდგომარეობაში მყოფი კულტურის აუცილებლად საჭირო კერის ბედიც ნორმალურად გადაწყდებოდა. ძალიან საეჭვოა, რომ ახლა ხალხმა მოშორებით მდებარე ბიბლიოთეკაში ძველებურად იაროს და წიგნები თუ ჟურნალ-გაზეთები იკითხოს.

როგორც საჭირო იყო ისე არ მოხდა, საკითხი ვერ გადაწყდა, უკვე სკოლის შენობიდანაც აიყარა ბიბლიოთეკა და უფრო დაშორებით, ბორჯომ-პარკის დასაწყისთან მდებარე ჩარხისწყლის ერთ დროს ცნობილი რკინიგზის სადგურის ყოფილ შენობაში გადაბარგდა, სადაც ადრე თბილისიდან თუ ვალეიდან მომავალი სამგზავრო მატარებელი ჩერდებოდა, ბაკურიანისკენ კი მიემართებოდა ჩვენი დაუვიწყარი „კუკუშკა“. ახლა იქ საკოლმეურნეო ბაზარია გადატანილი

და კიტრისა თუ პომიდვრის გვერდით წიგნებიც აწყვია, რკინიგზის რელსები კი კვლავ ცხვირწინ მდებარეობს.

ბორჯომის ცენტრალური სარაიონო ბიბლიოთეკის ბაზრის შენობაში გადაყვანა იგივე იყო თბილისის ცნობილი ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკა ნავთლულის საკოლმეურნეო ბაზარში რომ გადაეტანათ.

რა თქმა უნდა ეს ბოლო ამბავი საწყენი და საკრიტიკო არ არის, ჩარხისწყალზე მცხოვრებლები იგივე სრულფასოვანი ბორჯომელი მოქალაქეები არიან, მათ ინტერესებში შედის ახლოს ჰქონდეთ სამეურნეო თუ კულტურის კერები, მაგრამ მაინც ჩამოყალიბებულია გარკვეული ტრადიციები, არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, მოთხოვნები და სურვილები, რასაც აუცილებელი ყურადღება უნდა მიექცეს.

ბორჯომის ახლანდელი გამგებელი დიმიტრი ყიფიანი ისეთი ეროვნული გვარისა და სახელის მატარებელია, რომ ხალხის კულტურულ, სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები პირველ რიგში მან უნდა მიიტანოს გულთან და იბრძოლოს საზოგადოებისათვის მისაღები გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა ის ფაქტიც თავს მახსენებს, რომ თავად

გამგეობის კოლექტივი მრავალსართულიანი შენობის შემდეგ ცენტრალური ბაზრის ყოფილ ორსართულიან შენობაშია მოთავსებული.

ბორჯომის ცენტრალურ სარაიონო ბიბლიოთეკას ყოველთვის ჰყავდა მაღალკვალიფიციური კოლექტივი, ასევე სასახელო დირექტორებიც. ბიბლიოთეკის დღევანდელმა ხელმძღვანელმა ნაირა ალხაზიშვილმაც ბევრი იბრძოლა, შეეცადა დონე და სახელი შეენარჩუნებინა, ბიბლიოთეკა ისევ თვალსაჩინო, ხელმისაწვდომ ადგილას ყოფილიყო განთავსებული, მაგრამ ახლა სხვა დროა, ახლებური, განსხვავებული, ოღონდ ძველებური გაგებით ძალა აღმართს ჩვეულებრივად ხნავს.

მე დღეს ისევ დავუბრუნდი ათეულობით წლების წინ დაწყებულ პრობლემას და მჯერა, მჯერა კი არა, დარწმუნებული ვარ დიდი ტრადიციების მქონე ბორჯომის ცენტრალური სარაიონო ბიბლიოთეკა ერთხელ კიდევ შეიცვლის მისამართს, კვლავ დაუბრუნდება მრავალი წლით დაკანონებულ მდგომარეობას, მისთვის შესაფერის ადგილს სახელოვანი ქალაქის ცენტრში და კულტურის ეს ცნობილი კერა კიდევ უფრო დიდი მონდომებითა და სიყვარულით მოემსახურება ხალხს.

*ნუგ ზარ წერეთელი
ბორჯომი, 2016 წლის მაისი.*

დიდი მხატვრის მათიანე

თბილისელმა მაცურებელმა მარტისა და აპრილის თვეებში ნახა მსოფლიოში სახელგანთქმული დიდი ქართველი მხატვრისა და მონუმენტური ქანდაკების დიდოსტატის ზურაბ წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმები. ჩვენება გაიმართა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზსა და საქართველოს კინოსახელში.

დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშით გამოხატა მადლიერება ფილმის ავტორის, რეჟისორის მურმან ასიტაშვილისა და ოპერატორ სერგი შაგულაშვილის მიმართ.

ოცდათხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც ცნობილი კინოლოკუმენტალისტი მურმან ასიტაშვილი რუდუნებით აღნუსხავს დიდი ქართველი მხატვრის მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედებას, ცხოვრებას, მის პოპულარობას საზღვარგარეთის ქვეყნებში, შეხვედრებს მსოფლიოს გამოჩენილ მოღვაწეებთან და ძვირფას მასალას უნახავს შთამომავლობას, რისთვისაც იგი დამსახურებული მადლობის ღირსია.

ამ მნიშვნელოვან მოვლენას ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა ვილენ მარდალეიშვილმა „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე წერილი უძღვნა. ჩვენი ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ გაზეთიდან გადმობეჭდილ წერილს.

რედკოლეგია

„საქართველოს მათიანე“ – ზურაბ წერეთლის შემოქმედების ბვირბვინი

მსაგვსი პოპულარობა იშვიათია ხელოვანისთვის. ზურაბ წერეთელი ჯერ კიდევ შუახნის ასაკში იყო სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი... მისი ნამუშევრები ამშვენებენ ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიის, იაპონიის, საფრანგეთის, პორტუგალიის, იტალიის, ესპანეთის... მთავარ ქალაქებს... დიდ

ინტერესს ზურაბ წერეთლის შემოქმედებისადმი, ალბათ, ისიც განსაზღვრავს, რომ მის ნამუშევრებს თანამედროვე ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო ადგილებში ვეცნობით და არა მარტო საგამოფენო დარბაზებში...

საინტერესოა, რომ სახელ-დიდებას თავიდანვე უწინასწარმეტველებდნენ სახვითი ხელოვნების მოყვარულნი. სამხატვრო აკადემიის 1958 წლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა მხ-



ატკრის ფერწერაში გვიზიდავდა დიდი ოპტიმიზმი, წვდომა შინაგანი სამყაროსი, რომელიც სიცოცხლის განუზომელ სიყვარულს გვიძხვლდა. ნათელი, საზეიმო ფერების სიჭარბე, მაჟორულობა... და დღესაც, უკვე მხატვარ-მონუმენტალისტ ზურაბ წერეთლის შემოქმედებას, უპირველესად, სწორედ ამ თვისებებით ვაფასებთ.

ერთხელ ვკითხე: – ხომ არ დათმეთ ფერწერა, ბატონო ზურაბ? ალბათ, მისთვის დროც აღარ გრჩებათ...

– პირიქით, მე ახლაც ფერმწერად ვთვლი ჩემს თავს და იშვიათია დღე, რომ ცოტა მაინც არ წავიმუშაო ამ დარგში.

– მაშ, რამ გამოიწვია თქვენი დაინტერესება მონუმენტური ხელოვნებით?

– მინდოდა თავი გამოემეცადა, თანაც, დღევანდელი დიდი გასაქანი მისცა ამ დარგს...

... ჰოდა, აი შედეგიც: ზურაბ წერეთლის მონუმენტურმა ნაწარმოებებმა ელფერი და მიმზიდველობა შემატეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აგებული მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ ანსამბლებს.

დედამიწის სიგრძე-განედებს რომ სწვდება, ზურაბ წერეთლის ფიქრი და სიკეთის ქმნის სურვილი, ყოველთვის მაინც სამშობლოს დასტრიალებს. ცნობილია, რომ მან პარიზში ბუნებისა და ხალხთა ყოფის ამსახველ მუზეუმში, დიდი ხნის მცდელობის შემდეგ, მოაწყო კუთხე – მუდმივი ექსპოზიცია ქართული ეთნოგრაფიისა, მისი მოძიებული, ზოგიც კერძო პირებისგან ნაყიდი უამრავი ექსპონატი თვალსაჩინო ადგილას გამოფინა, ანუ სხვადასხვა ქვეყნის დამთვალიერებელს საშუალება მისცა, ახლოს გაეცნო ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრების ამსახველი უძველესი მინუსები...

მთელმა თბილისმა იცის, რა შესანიშნავი ნაწარმოებები – მიმზიდველი ქანდაკებები დადგა ამ ბოლო დროს ზურაბ წერეთელმა მშობლიურ თბილისში... მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა მთავარი – გამოეტყუა, ჩამოექნა, ბრინჯაოში აემეტყველებინა მისი სალოცავი საქართველოს მატთანე... და კარგა ხნის წინათ დაიწყო ამ ოცნების ხორცშესხმა ყვენი მთაზე, თბილის-ქალაქს რომ გადმოსცქერის და მის კუთხე-კუნჭულს ეფერება...

ჰოდა, სწორედ ყვენი მთაზე აღიმართა „საქართველოს მატთანე“, სადაც 300 ტონაზე მეტ ბრინჯაოში ჩამოსხმულია ურთულესი სტრუქტურის 64 ბიბლიური სიუჟეტი, ამაზე მეტი კი საქართვე-



ლოს ისტორიის სიუჟეტები.

ეს ყოველივე ფირზე აღბეჭდეს რეჟისორმა, დოკუმენტალისტმა მურმან ასიტაშვილმა, ოპერატორმა სერგი შაგულაშვილმა და ფილმი – „ბრინჯაოში გამოჭედილი საქართველოს მატთანე“ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში აჩვენეს ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას, ზურაბ წერეთლის ნიჭის თავყანისმცემლებსა და დამფასებლებს.

ყენის მთაზე აღმართული მეორე-ალური კომპლექსის მშენებლობა ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში, რა თქმა უნდა, საკუთარი ხარჯით დაიწყო ზურაბ წერეთელმა...და, აი, უკვე შეიძლება შევიგრძნოთ მისი სიდიადე!..

ფილმში ნაჩვენებია, როგორ ლოცავს ამ უნიკალურ ნაგებობას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. იგი ამბობს, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია „საქართველოს მატთანეს“ ჩვენი სულიერების ამაღლების საქმეში...

მაყურებელი ეცნობა ერის ისტორიას, ამ უნიკალური ისტორიის შემოქმედთ, ბრინჯაოში დიდოსტატურად

გამოკვეთილ, ფარნავაზიდან დაწყებულ სათაყვანო ადამიანებს. აი, წმინდა ნინო და ვახტანგ გორგასალი, პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, ზაზა ფანასკერტელი, დავით კურაპალატი, ბაგრატ III... დავით აღმაშენებელი, არსენ იყალთოელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ცოტნე ლადიანი, დიმიტრი თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალე, ქეთევან წამებული, მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ერეკლე მეორე... დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ექვთიმე თაყაიშვილი, რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილი, რა თქმა უნდა, გალაკტიონ ტაბიძე, რა თქმა უნდა, კონსტანტინე გამსახურდია...

ყველა ულამაზესადაა გამოძერწილი ბრინჯაოში!..

საქართველოს უძველესი ისტორია, საქართველოს საამაყო მატთანე ზომ ამ უკვდავმა ადამიანებმა შექმნეს...

მთავრდება ფილმი, რომლის შესანიშნავ კადრებს შესანიშნავი ტექსტიც ახლავს, რამაც, შევნიშნე, ზოგ მაყურებელს ცრემლიც კი მოჰგვარა... რა გასაკვირია, საყვარელი სამშობლოს საამაყო მატთანემ ძვალ-რბილში დაგვიარა და სულიერად აგვამაღლა...

ღმერთმა დიდებულ წინაპართა ღირსი გაგხადოთ, ახალგაზრდებო!

ხოლო ზურაბ წერეთელს, რა თქმა უნდა, დიდი მადლობა ამ წინაპართა ბრინჯაოში გაცოცხლებისთვის!

ვილენ მარდალაიშვილი

სტუდენტი ახალბაზრობის შემოქმედება



ნინო ლორთქიფანიძე
 „ცოდნის“ ფილოლოგიის ფაკულტეტის
 II კურსის სტუდენტი

სამშობლო

ყველას უყვარდა ჩემამდე
 და ისევ უყვარს მრავალს,
 ცისკენ გაფრენილ შევარდენს
 თითქოს ვადრიდით სავალს.
 ის იყო გმირთა სავანე
 კოხტისთავს კაცთა შეყრა,
 კვლავ თავდადებას გვავალებს
 მამული – ერთი ქვეყნად.
 მისი მადლითვე დავდინჯდით,
 მშობელზე მეტად გვზრდიდა
 და არასწორი ნაბიჯიც
 ჰგავდა აცდენას გზიდან
 ის არის ჩვენი სულისთქმა,
 გვაღვთის დროს ცივი წყარო,
 მისთვის აზრები ურითმავთ,
 რითიც ამაყნი ვხარობთ.
 მარადი სიამაყეა
 სამყაროს კოხტა თვალი,
 მოგვეყვება და კვლავაც გაგვეყვება
 მისი დიდების კვალი.

მარტყოფის ტაძარი

ზღვები, მთები, ეგვიპტემდის
ტანჯვით გადაიარა,
მოტაცებულ შეგირდების
დაღი აჩნდა იარაღ.
უცხო ქვეყნის სადიდებლად
ყალყზე იღვა ვეფხვურად,
გზა მოჩანდა მანძილებად,
ქართველს ჩაღმა ესურა.
უამრავი განიცადეს,
არშედრეკას ვუქებდით
მტრებისაგან თავს იცავდნენ
ჩვენი მამულუქები.
რომ დასცილდნენ საქართველოს
ტანჯვა იყო საზარი,
მათი ხელით აღმართული
დარჩა მარტყოფს ტაძარი.

ქედის არდახრა ხალხის წესია,
განსაცდელიც კი ველარ აშინებთ,
დღესაც ამაყად დგას ეკლესია,
მიწაში სძინავთ შინჯიკაშვილებს.



თამარ შუკვანი
 „ცოდნის“ ფილოლოგიის ფაკულტეტის
 II კურსის სტუდენტი

ბთხოვ საქართველოვ მითხარი რამე

წარსული მიცქერს და მომავლის იმედს მიბრუნებს,
 შევხედავ აწმყოს და ვაწყდები ათას სიმრუდეს.
 ზოგჯერ მგონია არაფერი არ გვეშველება,
 თუმც ივერიას შარავანდი თავზე ევლება.
 ყველაფერს ადგილს გამოსაცდელს უჩენს განგება,
 წარსული აწმყოს და მომავალს დაეგრაგნება.
 თუმც სიმამაცეც, ვაჟკაცობაც შთაუნთქავთ ალებს,
 ვფიქრობთ დროება რას მოგვიტანს ადრე თუ მალე.
 ერთ რამეს ვხვდები, ჯერ ვერ ვხედავ მომავალს ნათელს.
 სხვა ქვეყნად წასვლას, ჩვენი ქვეყნის წინსვლისა გვმართებს.
 არეულობით, ძალადობით სულ შევიშლები,
 თუმცა ხანდახან წარმატების ჩანან ნიშნები.
 ჩვენც თუ წავედით ეს მამულის უღრის გახიზვნას,
 ძველი ბრძოლების გახსენებით უნდა აღვივზნათ.
 თუმც ის დრო გაქრა სამშობლოსთვის როცა ვიბრძოდით,
 როცა გულდაგულ მივიწვევდით გზებით ვიწროთი.
 ჩვენივე ხელებით საქართველოს ვინარჩუნებდით,
 ის დრო გაფრინდა თუ აღსრულდა წესით ბუნების.
 ვეებერთელა რუსეთსაც არ ვეპუებოდით,
 და არ გვექონია მოლოდინი შემგუებლობის.
 წარსულ დიდებას მეჩვენება ძალზე ვშორდებით,
 ო, საქართველოვ, ნუთუ აღარ განვმეორდებით.
 საკუთარ მიწას ვერ დავთმობთ და ვერ გავექცევით,
 გვჯერა მამულო, კვლავ მოყვარულ დედად გვექცევი.

ჩემო სამშობლო

ცად აზიდულხართ მთებო გრეხილ პირამიდებად,
თქვენ საყურებლად ქედზე ასვლა ვერვინ შემასწროს,
ენგურთან მერე ახლოს მისვლაც მიაღვილდება,
თბილ კალთას შენსას მოვმორდები ვიცი ვერასდროს.

ხომ არ გგონია აქ ოდესმე დავიკარგები,
ანდა ხელივით გავიჭრები მინდორ-ველადო,
ჩემო მამულო, ხარ ტკივილთა მუდამ გამგები,
კვლავ სიყვარულით გეფერები ჩემო გელათო.

ჩემს სამშობლოში თითქოს დავრჩი დღემდე ეულად,
და მუდამ ვნატრობ საქართველოს გული მენახოს,
მე ისევ გელი, ცუდის გამო არ გავქცეულვარ,
რომ გულის ფეთქვა არასოდეს გადამელახოს.

ჩემს სამშობლოში დაკარგული სული ვიპოვნე,
შენს მთას, მიწა-წყალს ისევ ვრჩები შენახიზნები,
ველად გაჭრილიც მე მოვნახე თავად, თვითონვე
და მთის გულიდან ამომზევდა ჩემი მიზნები.



ჯონდო წერეთელი

უურნალ „სიტყვის“ წინა ნომერში იყო გამოქვეყნებული ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობი ავტორის ჯონდო წერეთლის გულწრფელი ლექსები. ის არ იყო პოეტი, არც ცდილობდა ლექსების დაბეჭდვას, ბევრზე მეტად ნამუსიანი ადამიანი იყო, თუმცა მის პირად არქივში გარდაცვალების შემდეგ შემთხვევით ნაპოვნი ლექსების ფურცლების მიხედვით ნათლად დანახულმა ნიჭიერებამ მოგვცა საშუალება გარდასული კაცის ნაფიქრალი კვლავ გაგვეცნო მკითხველებისათვის.

მამა

მამაჩემის აკაკი წერეთლის ხსოვნას

სალამოების მღუმარებაში
 თითქმის ყოველდღე ვფიქრობ მამაზე,
 ცხოვრების ჩვეულ უნარებშიაც
 იგი მხვდება და გზას მილამაზებს.
 ის მასწავლიდა კაცობის ანბანს,
 მე დღეებს ცუდი ვერცკი შევატყვე,
 ხშირად ბიბლიურ მოციქულს ჰგავდა,
 რასაც იტევდა მისი ყველა დღე.
 უყვარდა კუთხე, ხალხი, სოფელი,
 სხვა სამყაროში დარდით წავიდა,
 და სივრცეს მისი მადლით მოფენილს
 მე ვერ ვცილდები ერთი წამითაც.
 ისევ წვიმს,
 ღვარი მოჰყვება სერებს,
 კუპრივით ბინდი სახლშიც შემოდის,
 მამაჩემივით ლამეში ვწერე,
 სიბნელეს რომ არ დავნებებოდი.
 კაცს არ შეშენის სულით დაცემა,
 გინდ მარტო იყოს საკანში წლობით,
 ახლა მომინდა შორით გაწევა

კართან ქალივით მომდგარი ღობის.
მამა სულ ღობეს აფართოებდა,
ხელი საშრომად ჰქონდა გაწვდილი,
და ახლა ჩემი განმარტობაც
მგონია მისი საქმის ნაწილი.
არ ნებდებოდა დარდს და სატკივარს,
ტვირთი დაჰქონდა დაღლილ ბეჭებით,
და დღემდის სულზე დაღად მაჩნია
მისი კაცობის ანაბეჭდები.
იგი ისევე სულ ახლოს ცხოვრობს,
ღვას ცოცხალივით, მკვდრულად კი არა,
ცხოვრების ბევრი საშიში ორმო
არშეპუებით გადაიარა.
ეკლესიასთან მისი სამარეც
ჩემთვის უდიდეს იმედს ატარებს,
მაგალითისთვის ვადრი სხვა მამებს
და ვქმნი იმედებს დროის სადარებს.
ის წლების მერეც მწამს მაგალითად,
შუქურასავით რომ მოჩანს ახლა,
აუ, რამდენი ღამე ათია,
რამდენი წერა, იშრომა, დახნა.
ეჭიდებოდა სიტყვას და მიწას,
ცუდი დროებით ბევრჯერ აცივდა,
მერე დაღლილი მგზავრავით მიწვა
და თან სოფელსაც აღარ დაცილდა.
ახლაც ამ სოფლის შუაგულ სანლობს,
რაც ისევ ქვეყნად ყოფნის ჟინია,
ის არის ჩემთან ძალიან ახლოს
და მარტოობის არ მეშინია.

ჩვენ და ყვირილა

ყვირილამ გაჭრა მთების გულები
და დაამკვიდრა ქვეყნად ხეობა,
ეს მთები მუდამ გვიერთგულებენ,
როგორც იციან, როგორც ჩვეოდათ.
ახლა მთებს შუა მოათქარუნებს
მთიდან მოჭრილი მდინარე ტალღებს,
ქვეყნად სიცოცხლე მოაქვს ფარული,
რომ მყინვარით არყოფნა გალხვეს.
სიცოცხლეს მატებს სოფლებს ლამაზებს,
კლდეებს რომ ფარავს ზოგი ვარდებად,
ხან სიხარულის გრძნობით აგვავესებს,
ხან ყაჩაღით მოგვივარდება.
ის ვერ ისვენებს,
ქუხს და მყვირალობს,
აკაკის სხვიტორს დაგვაახლოებს,
ჰო, სამშობლოს ცაო მდიმარო,
ყველას უნათებ სადაც სახლობენ.
ბარად ჩამოგაქვს სუნთქვა საჩხერის,
ჯერაც კრიალას გზად რომ გისარკებს,
მეც ახლა ბევრის მსგავსად გავცქერი
მდინარის სრბოლას შავი ზღვისაკენ.
ჩვენც საკუთარი ფეხით მივდივართ
იქით, საითაც გველის გაქრობა,
მზე რომ გვეგონა უკვე ბინდი ვართ
და ბედისწერას ავსებს მზაკვრობა.

ღამის სურათი

სოფელს დანათის ოქროსფერი ვეება მთვარე,
ქარი ხეების ჩამუქებულ რიგს აშრიალებს,
მერე მირეკავს, როგორც მწყემსი, ღრუბელთა ფარებს,
იქით საითაც სხვა სამყარო გადამლილია.

დაღლილი ხალხი ემზადება დასაძინებლად,
ღამის ჰაერი კრთის ჭავლებად უფრო კრიალა,
მაღალმა ღმერთმა გულმოწყალებ კვლავაც ინება
დღის ბობოქარის დამთავრება მშვიდობიანად.

ამაზე მეტი სათხოვარი არც მაქვს უფალთან –
ქვეყნად მშვიდობა იყოს მარად ხელშეუხები,
მთვარე აჩნია მღუმარ ზეცას,
როგორც გულქანდა
და ახლოს ისმის ექოსავით ხმები მუხების.

მერაბ თხელიძე
კველი და ახალი ლექსები

დალის

შენ პირველად შემეყვარდი
ჩემო კარგო, ტკბილო დალი,
ხარ ზეციდან მოვლენილი
უკვდავების წმინდა ალი,

თუ ციური სიყვარულის,
წრფელი ვნების მფრქვევი ღმერთი,
არა, შენ ის ქალწული ხარ
გულით მიყვარს ვინაც ერთი!

ბორჯომი, 1955 წელი

ჩემს თამარს

დაბადებიდან ფერიას ჰგავდი
თვალეებით, თმებით და სახით მზის,
ფერიაც იყავ საოცრად კარგი,
ვით ელვარება ცის.
გაიზარდე და ისე დამშვენდი,
მადლი ხარ ქართული ცის,
სააკაძეა ხომ შენი ფუძე,
არ უღალატო ძირს.
ქართლის დედა ხარ იერით, ჭკუით,
მასწავლებელი სხვის,
ცალ ხელში სავსე თასი გიჭირავს,
მეორე-ელვა ღვთის.
ფერია იყავ უკვე პატარაც,
მზექალი გახდი დღეს,
იყავ დღეგრძელი ჩვენს გასახარად,
თვალიც დაუდგეს მტერს!

თბილისისადგი

შენ ჩემო თბილის-ქალაქო,
მსურს ძველებურად იგრგვინო,
მტერი არ ალაპარაკო,
მტკვრის ნაპირებზე გაშლილო,
მისივე წყლებით ნაბანო,
ჩემი სამშობლოს გვირგვინო,
შენ ჩემო თბილის-ქალაქო.
რამდენს იტყოდი ვინ იცის,
მტკვარიც რომ ვერ შეგლეოდა
და გახსენება შეგეძლოს,
იქნება გვეშველებოდა.
რამდენჯერ შემოგესიენენ,
დაგანგრიეს და გადაგწვეს
და ქრისტეს რჯულის გულისთვის
კვდებოდნენ მრავალ ათასწელს.
რამდენი ჭირი გადაგხდა,
მეტს ვერ გაძლებდი ვერაფრით,
მაინც აღსდები ფერფლიდან,
ღმერთსა და ზეცას შეჰნათი.
გაიზარდე და აშენდი
გზებს სამომავლოს ეხები,
კვლავ დაიბრუნე ხალისი,
ხმა მოშრიალე ვერხვების.
მტკვრის ნაპირებზე გაშლილო
უსაყვარლესო ალაგო,
ჩემი სამშობლოს გვირგვინო,
შენ ჩემო თბილის-ქალაქო.

შენი ლექსები

კუძლენი მურმან ლებანიძის ხსოვნას

ერთი პოეტიც შეუერთდი ძველებს უმაღვე
და პოეტების ოლიმპოზე ინებე შესვლა,
ჩვენგან წახვედი ვალმოხდილი დიდი მურმანი,
გული დაკოდე, ვერ ვპოულობ სიმშვიდეს ვერსად.
გადავიკითხე ყურადღებით შენი ლექსები,
შენსავით დიდი ქვეყანაზე მხოლოდ ზოგია,
გადავდე გვერდზე, ახლა ყველა საქმეს ვეხსნები
და ჩავუჯვები პოეზიის ანთოლოგიას.
ბუმბერაზების, პოეტების მე ვნთქავდი ლექსებს,
შოთა, ილია, აკაკი და გალაკტიონი,
ნიკოლოზ, ვაჟა, ბესიკი და რამდენი კიდევ.
თქვენ ტრაგიკული ბედი გერგოთ, არა იოლი,
ვით კელაპტრები გიზგიზებდნენ თქვენი გულები,
იფერფლებოდნენ სიტყვისა და ომის ქარცეცხლში,
მე აღტაცებით ვაკვირდები თქვენს ყოველ სიტყვას,
მინდა მოგბადოთ მახვილით და კალმისტრით ხელში.
ვერ შეგედრებით ვერც რითმით და ვერც სიტყვათ წყობით,
ვერც პრობლემები წამოვჭერი რთული და მწველი
და გული მწყდება, რომ ვერ ვხვდები თქვენს ფიქრთა სიღრმეს,
მხოლოდ ვამაყობ თქვენთან ერთად რომ ვარ ქართველი.
ჩვენგან წახვედი ვალმოხდილი დიდი -მურმანი,
გული მომიკალ და სიმშვიდეს ვერსაით ვხედავ,
ზეციურ გზისკენ მამულიდან წახველ მღუმარი,
და შეუერთდი ჩვენს პოეტებს, რად ვგლოვობ ნეტავ!



გოგი ბითაძე აფხაზეთის ომში იბრძოდა გმირულად და თავდადებით, მკერდით იცავდა საკუთარ სამშობლოს. იმ რთულმა და მტანჯველმა დღეებმა, როცა ახალგაზრდა კაცი სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდებს გადიოდა, შემდგომი ასახვა ჰპოვა უკვე შუა ხნის ასაკს მიღწეული ადამიანის მართალ ლექსებში.

მკითხველს ვთავაზობთ გოგი ბითაძის ლექსებს, სადაც მკაფიოდ ჩანს სამშობლოსადმი დიდი სიყვარული და ჩვენი ძირძველი მიწის – აფხაზეთის დროებით დაკარგვით გამოწვეული მწვავე გულისტკივილი.

თბილისი – ბაბრა

სოხუმის ბილეთს
 კვლავ გაყიდის ძველი სალარო.
 მწვანე ვაგონზე წავიკითხავთ:
 „თბილისი – გაგრა“.
 მადლობა ყველას, ვინც გაუძლო,
 ღმერთმა გვაკმაროს
 მამულის ხილვის მონატრებით
 განცდილი დაღლა.
 სოხუმის ბილეთს
 კვლავ გაყიდის ძველი სალარო.
 მწვანე ვაგონზე წავიკითხავთ:
 „თბილისი – გაგრა“.
 ეპოქისათვის ეს იქნება
 ერთი საღამო.
 საქართველოსთვის – წარსულის
 და მომავლის განსჯა.

* * *

ჩვენი წარსული ჩვენი განძია,
გვაქვს ნოსტალგია ძველის და ახლის.
თამარს დარბაზად ჰქონდა ვარძია,
გელათი ედგა საძვალედ დავითს.
დღეს კი ცისკარიც ებრძვის განთიადს,
წუთისოფელო, ეს რა დაგვამრთე,
ჩემი სამშობლო ჩემი დარდია,
შენს თავს მამულო, ვერვინ წამართმევს.
მზემ წმინდა სისხლი ცაში აზიდა,
მთვარე პატრონობს ძმათა საფლავებს,
თუ ქართველობა მძიმე ჯვარია,
ღმერთო, ქართველად ასჯერ დამბადე!!!

* * *

სექტემბრის ოცდაშვიდია
მზეს დაეფარა ფერფლი.
ეს შემოდგომა სხვისია
ცხოვრების ყველა წესით.
შემონათა სიკვდილმა
სისხლით, მახვილით, ცეცხლით
ცაზე ყომრალი ნისლია
გაჯერებული გესლით,
საკუთარ პანაშვიდზე ვარ
მე – ისევ სიკვდილს ვებრძვი.

* * *

საით მიდიხარ ღრუბელო.
რად მიიჩქარი ასეო,
ამდენი ცოდვის დამნახავს
ცრემლი რად არ გდის თვალზეო?
შენ იქნებ სხვა სამშობლოც გაქვს,
მე – ერთი ქვეყანაზეო.

საქართველოს დიდება

ტყვიის ზუზუნში ქარი უსტვენს
 უცხო მოტივზე,
 სხვა რამ სიცოცხლის ნიშანწყალი
 არ არღვევს წყვილადს.
 ბევრი ვაჟკაცი მიაჯაჭვა ომმა ლოგინზე,
 ბევრი პატარა დააობლა უგვანო ტყვიამ.
 არ მავიწყდება ჩემს ქალაქში
 ცეცხლის თარეში
 მშობლიურ მიწას მკერდით
 როგორ ვეკროდი მაგრად,
 სიკვდილის ლანდი დადიოდა არემარეში,
 ჩვენ არ გვჩვევია სიმართლისთვის ბრძოლაში დაღლა.
 ტყვიის ზუზუნში ქარი უსტვენს
 უცხო მოტივზე,
 სხვა რამ სიცოცხლის ნიშანწყალი
 არ არღვევს წყვილადს.
 მშობელ მიწაზე უწარწერო
 ბევრი ლოდი დევს,
 მათ საქართველოს უსახელო
 დიდება ჰქვიათ...

სალოცავი ხატი

ჩემს მამულში ვაზი ტირის,
 გაზაფხულის კარია,
 გული ველარ უძლებს ტკივილს,
 სულში ქარიშხალია.
 ჩატეხილი არის ხიდი,
 გაუვალი წყალია,
 გაზაფხული მოდის, მაგრამ
 ჩემს გულს არ უხარია.
 ჩემს ძარღვებში სისხლი კივის,
 გაზაფხულის კარია.

ტყვეობაში თუ გყავთ ჩიტი
გაუხსენით გალია.
გადაფრინდეს, მოგვიკითხოს
ვალმოხდილი ძმანია.
მარტობის ფასი იცის,
ისიც გულდამწვარია.
ჩემი გენის, ჩემი მიწის,
მადლი ვის აბადია.
არ დაჰკარგავს დედას შვილი,
შვილი დედის დარდია.
სამაჩაბლო, აფხაზეთი
გულში ცეცხლად ანთია.
საქართველო – ქართველისთვის
სალოცავი ხატია.

ერთადერთი გზა

მონატრებით შევცქერი,
ეს მთვარეც ხომ ჩვენია.
ზღვის ნაპირზე თოლიებს
როგორ მოუწყენიათ.
ვერ იგუეს ამ ქვეყნის
დროებითი ხიზნები,
როგორ გავაგებინოთ
რომ, კვლავ ერთად ვიქნებით.
რკინის ფარდა დაუშვეს
მთვარეც გვერდზე გაგვიდგა
ღამურები ფრინავენ
ბელურების მაგივრად.
მე კი სხვა გზა არ ვიცი,
მუდამ ამ გზით მივლია,
ის ტაძრამდე მიმიყვანს,
იქ სიკეთის ნიბლია.
და მე ვლოცავ სამშობლოს –
ლოცვით ძალას ვიკრებდი,
სიკეთის მქმნელ ქართველებს
გზა გვქონდეს სიკეთის!

* * *

დავბრუნდები როდის?
შემოვალე კარს,
ვერ შევეწყვე ლოდინს,
მოლოდინი მკლავს.
ფოთოლცვენა მოდის,
გაგვებუტა ცაც,
ზღვიდან ტალღა მორბის,
თითქოს იყრის ჯავრს.
კრძალვით გეტყვი ბოდიშს,
შემოგავლებ თავს,
მე ვარ შენი მოდგმის
ნურას მკითხავ სხვას.

* * *

ცა ღრუბლებით დაიფარა
მზის სხივები ნალვლობს,
საქართველო დაიღალა,
ყველგან ველარ სახლობს.
ჯიში ჩემი დაიცალა
სხვაგან წასვლას არჩევს,
ღმერთმა არ ჰქნას გადავჯიშდეთ
მამლუქებად დავრჩეთ...
გვენატრება სწორედ ის დრო
ვუმადლოდეთ გამჩენს
ჩემი მიწა დავითის დროს
იყო ზღვიდან ზღვამდე.
ბევრმა წყალმა ჩაიარა,
არ დავნებდით სასჯელს,
ისტორია თუ არ კვდება
მეორდება ასჯერ.
იმედიანი ლექსი
როცა აპრილი აპრილობს
მაისს მოუხმობს ისევ,
იმედით შევცქერ ალიონს
მერცხლების ჭიკჭიკს ვისმენ.
სადაც ქართველი ქართველობს

მიწა მალღება ცისკენ
ენა, მამული და რწმენა
ღვთის ნებით ძალას იკრებს.
როცა ქართველი ქართველობს
გული სიამით მიძგერს,
მტერი ვერაფერს დააკლებს
მიწას – ღვთისმშობლის წილხვედრს!

* * *

უკანასკნელად დავხედე მიწას,
მიწას, რომელზეც დამადგეს ჯვარი.
უკანასკნელად ავხედე ზეცას,
ზეცას, რომელმაც გამბანა ტანი.
უკანასკნელად ვიყვირე – დედა!
თუმცა ვიცოდი, რომ იყო მკვდარი,
უკანასკნელად მომინდა ფრენა,
თუმც საამისო არ იდგა დარი.

ჩვენ დავბრუნდებით

მე დავბრუნდები ჩემი სევდა, რომ მოვირჩინო,
მამულო ჩემო, სიყვარულო და თვალისჩინო.

მზე ჩაესვენა ტორტმანით ზღვაში,
ბოლო სხივებიც შთანთქმეს ტალღებმა,
აღარ იგრძნობა ქართველთა ხმაში,
ჩვეული ხიბლი და შემართება.

ჩაცურდა მთვარე, ჩაყვნენ ვარსკვლავნიც,
გარინდებულა არე მწუხარე,
როდემდე ვიყო ასე დამშვრალი,
სადამდე ვიყო ასე მღუმარე.

„შავბნელი ღამე შეეკრა ავსულს“,
და ჯოჯოხეთად მექცა სამოთხე,
რით ვანუგემო, რა ვუთხრა ამ გულს –
ცეცხლის რკალიდან როგორ გამოვძვრე.

ბევრჯერ ცხოვრების გრიგალი გვწვავდა
ბევრჯერ გვღენია ცრემლი მამულზე,
ღვთისმშობლის წილხვედრ ამ ქვეყნის გარდა
არ გაგვაჩნია ჩვენ სხვა საუნჯე.

ჩვენი გმირების სულები ბორგავს
ხმლები მიწაში ჯერაც ბრწყინავენ
ჩემი სამშობლო თუკი გადარჩა,
მათ ვუმაღლოდეთ ვინც თავს წირავდნენ.

ამ ცის ლაჟვარდით ვინ არ დამტკბარა,
მშვიდი ცხოვრების ვცლიდით მათარებს
ხიზნად ქცეულთა უღელის გარდა
ჩვენ მძიმე ჯვარიც ერთად ვატარეთ.

შენთან მოსასვლელ გზებს ვეძებთ ახალს,
შენს მაჯისცემას ყურს ვუგდებთ ახლოს,
ვიცი, რომ გინდა შენც ჩვენი ნახვა,
რადგანაც იცი: - ჩვენს გულში სახლობ.

აფრებს აკეცავს შავი ღრუბელი,
მტრობას და ტანჯვას მილეკავს რადგან,
და გამოჩნდება ხიდი ურყევი
ხიდი, რომელზეც ფეხს მყარად დავდგამთ.

ნაჭუჭი

სულ შეგვეცვალა სახე ნატანჯი,
 ადრე შეგვეძლო მეტი გედავა,
 კვლავ ღვთისმთიერი ძალით გადარჩი
 მძიმე ნაჭუჭში ჩასაკეტავად.
 შეღწევას უკვე ცოტა შეიძლება.
 დახეულია ბევრი წერილი,
 სული როგორღა უნდა შეიძრეს
 ბასრი დანებით გადასერილი.
 ამიტომ ისევ ეძებ სხვა როლებს
 მძიმე ნაჭუჭში ჩასაკეტავად,
 ტყე კი ზურმუხტის ნისლებს აბოლებს,
 რომ დაგამშვიდოს განცდამ ნეტარმა.

სოფელში

სოფელი აქრობს ქალაქის მზერას,
 თავზე კოპიტის ჭერი შეირხა,
 და გამოქცეულს დროებით,
 გჯერა –
 აქ უფრო მეტად ბედნიერი ხარ.
 მისდევ ღორღიან სოფლის გზაშარას,
 სავსეს წიფლების რუხი ღეროთი,
 ნიშნად,
 რომ ჟამმა ჯერ ვერ წაგშალა
 გზაზე მარტოკაც მიიმდეროდი.
 სულების ფრენას მამაპაპათა
 გრძნობდი,
 როგორაც ფრენას ჩიტების,
 გწამდა მარჯვენას კიდევ გამართავ
 და უიღბლობას შეეჭიდები.

2004 წ.

ღელვა

ზღვას შემოჰქონდა მძიმე ნაღველი,
გორებისხელა ტალღის მოვარდნით,
შორს კი მამაცი კაცის სახელით
გრიგალს ებრძოდა თეთრი ხომალდი.
დარდი ჯანლების არევას ჰგავდა,
არემარესაც ვგრძნობდი სევდიანს,
მარტო ვრჩებოდი საკუთარ თავთან
და ზღვაში შესულს არვინ შეძლია.
განწირულს ისევ მიშველის ქრისტე,
ან დარჩენილნი ქვეყნად მართლები,
მაგრამ ბრბო ჩვეულ ღრიალით მისტვენს
და ნაპირისკენ მოვემართები.

შენ გინდა ნახო

გინდოდა ყველა ფორმა გეცადა,
რასაც კი შენი სული მოგთხოვდა,
ასეთი რამ კი აღარც გეწადა,
გეძალეობოდა თითქოს მორცხვობა.
შენ გინდა ნახო ის რაც გაწუხებს,
როს ტკივილივით ფიქრით უხვდები,
ადრე რატომღა უნდა დამწუხრდე,
როცა ამდენი ავით წუხდები.
დილა ტოტებში შაშვივით გალობს,
ახლის დაწყებით ბევრჯერ ეწამე,
გალეწილია ცოდვების კალო
და ცოტა რჩება გასალეწავი.

ზამთრის ბანაობა

ცდილობდი ბევრი აღარ გეფიქრა,
 ცას საბურავი ვერ დახეოდა,
 მერე ზამთარმა მთები შეფიფქა
 და ტყეებს შერჩით შენ და ხეობა.
 ნაძვთა სურნელი მიჰქონდათ ქარებს,
 რაც მოშორებით ხრამებს ავსებდა,
 შენ კი დილიდან ის დარდი ფარე,
 ორეულივით რომ გემსგავსება.
 სახურავებზე იდგა ზრიალი,
 გადადიოდი სულ სხვა მხარეში,
 და გაფიქრებდა
 ვინ დაზიანდა,
 ამ უსაშველო ქარის თარეშით.

ქუთაისი

რეზო ჭეიშვილის ხსოვნას

ახლა ქუთაისს,
 მწვანეყვავილას,
 შენი სახელიც ადგას შუქივით,
 საყვარელ ქალაქს ვეღარ დაივლი,
 რომ კვლავ შეიგრძნო მისი წუხილი.
 შენ ახლა იქ ხარ,
 რაც აირჩიე,
 რაც გირჩევნოდა ქვეყნად ყველაფერს,
 თუმცა სავარდო კუთხედ მიჩნეულს,
 ქუთაისს ზეცა ნათელს ვერ აფენს.
 შენი გმირებით ავსებულ ქალაქს
 აღარ ეღირსა ნანატრი დარი,
 შენ შეუერთდი დიდსა და მარადს
 მშობელ ქალაქთან ძეგლივით მდგარი.

პატარა ქალაქი

მომენატრება მყუდრო ქალაქი,
 ქალაქის ცენტრში ქედნისფერ ტაძრით,
 ზურმუხტის ფერად მწვანე ბალახით
 და ცხოვრებაზე შექმნილი აზრით.
 მხოლოდ საკუთარ პურიტ და ღვინით,
 სურვილით ბევრი ახლობლის შეყრით,
 შუაცეცხლივით აქ მეტად ღვივის
 სიყვარულიც და ტკივილიც ქვეყნის.
 ხშირად ვეებას სჯობია მცირე,
 რომ უფრო იგრძნო სული მამულის,
 და თეთრად ღებავს ტყეების პირებს
 ნისლი სახლებით ვერდაფარული.

სიმართოვე

დარჩი სულ მარტო, საკუთარი თავის ამარა,
 მომცრო ოთახი დაითალხა მძიმე ფარდებით,
 დრო აირია, დარდმა თავი ველარ დამალა,
 აწი კი უფრო გაავდარდება.
 ცხოვრება მიდის გრიგალივით ფანჯრების მიღმა,
 და მიაქვს ქუჩა მანქანების ჭრელ-ჭრელ ნიაღვარს,
 ვერას გაუგებ ამინდივით არეულ ილბალს,
 ბოლო ფოთოლიც რტოებს მიახმა.
 ეს სიმართოვე მხრებზე გადევს, როგორც სიმძიმე,
 გაჰყურებ თბილისს,
 იმედივით მოჩანს ნაწერი,
 ობოლ სხივივით მაინც სადღაც გაიციმციმებს
 მზე გაზაფხულზე ამოსაწვერი.

ქრება

მორჩა, დამთავრდა, ამოიწურა,
ყველა იმედი და მოლოდინი,
აღარ განათდა ბნელი მიწური,
აღარ განახლდა ძველი მოტივი.
ქარივით გაქრა ყველა მოთმენა,
როგორც შეგრძნება უილაჯობის,
გრიგალი უღრან ტყეებს მოთელავს
სივრცე ცახცახებს ბევრჯერ ნაჯობნი.
ძველი ქრება და ახალი მოჩანს,
რალაც უკეთურს ძლივსლა მოვცილდი,
ისე ვით ჯვრებით შემკული დროშა
ამ გრიგალისგან ზეატყორცნილი.

ღავრჩი

მთელი ცხოვრება ვწერდი და ვსვამდი,
მწამდა, მიყვარდა და დღემდის მიყვარს,
ჩემი ცხოვრებით მივედი ცამდი,
სანამ ვიქცევი მიწად და თიხად.
მთელი ცხოვრება მიყვარდა ყველა,
და სიყვარული ყველაფერს ძლევდა,
დანის პირივით გამსერავს ხელად
ყოფნა-არყოფნის უძირო სევდა.
თითქოს ბალახის ქვემოდან ვსუნთქავ,
რომ ადევს მიწას მშვენებით ფარჩის
და როგორც ადრე წასულებს უთქვამთ
ჩემს სამშობლოში მუდმივად ღავრჩი.

ნიშანი

ზოგი დროებით იგებს შეძრომით,
ზოგი კი დუმს და არაფერს იგებს,
ფუჭია ფიქრი დროსთან მებრძოლის,
ვინც მისდევს ფულის მძებნელთა რიგებს.
უკადრებელის ბევრჯერ კადრებას,
თუ კაცი ჰქვია უნდა შეეშვას,
ძალიან მალე გაავდარდება,
ქარი მილეწავს ულრან ტყეებსაც.
ამ ქვეყნად მხოლოდ კაცობა რჩება,
სხვა იფარება წელთა სიშავით,
და ჯერ დარჩენილ დღეების წყებას
განუჭვრეტელი ადევს ნიშანი.

არყოფნისაკენ

აჰა, ამ წელმაც ჩაივრიხინა,
ჩიტივით გაჰყვა გაფრენილ დროჟამს,
რაც იყო იმას კელარ იხილავ,
წინ კი მთებივით ჯანღები მოჩანს.
ოცნებაც უკვე აღარ ოცნებობს,
ზღაპრის მაგივრად ისიც დაძველდა,
დღეებო სწრაფო და საოცრებო,
ხმელ გირჩებივით ყრიხართ ნაძვებთან.
დრო მოდის შიშით, როგორც ცუნამი,
ჯერ კიდევ ვუთვლით მრავალს მისაგებს,
და ნაფოტივით გემი მცურავი
მიექანება არყოფნისაკენ.

კვლავ მიგორავს

სდევს სიცივეს სიცივე,
სიცხეს სიცხე მოყვება,
სიცილი კი სიცილებს –
ვაშლი წითელლოყება.
ყველაფერი მოძრაობს,
გზა იცვლება ბნელი ტყით,
ურემს თვალი მოძვრაო,
ჯერ ვერავინ ვერ იტყვის.
კვლავ მიგორავს ურემი,
ტვირთით ძალზე მძიმეთი,
ხშირად ბედის მღურებით,
იშვიათად იმედით.

მარადი

ბუნება უკვე იცვლება ახლით,
მზე ჩანს კვირტების გამფოთლებელი,
ბრუნავს და ბრუნავს ცხოვრების ჩარხი
და ხალხი ცვივა ნაფოტებივით.
განწყობილება გავსებს ორგვარი,
უიმედოც და იმედიანიც,
სითბო ქალივით კართან მომდგარი,
ბნელს ენარცხება მძიმე ტრიალით.
მუნა სვეტივით არცკი ტოკდება,
სიოს იფერებს ძლიერ ქარამდი,
დღე იმედივით აღარ მოკლდება,
რადგან ცხოვრება არის მარადი.

ხეობაში

ქარი ღუნავდა ნაძვებს რკალამდი,
და თან მოჰქონდა სურნელი ნაძვთა,
თითქოს სივრცეში ადგილი გაცვდა
და მე ლეკვივით ახლად ვკალავდი.
მტკვარი ავსებდა იისფერ არეს,
მიაცურებდა მერე ხეობას,
მიირწეოდა,
მიირხეოდა,
ეჯახებოდა კლდეების ფარებს.
ცხოვრება იყო რთული ათასჯერ,
დაჯახებული ქვეყნის სიავეს,
მაინც ველოდი დღეებს მზიანებს
რაც მოქმედებას ჰგავდა გადამჭრელს.

გამოცდა

ზოგი ცხოვრებას მლიქვნელობით ისე მოერგო,
როგორაც ღვინის ჩასასხმელი ბოცის საცობი,
ჯერ კიდევ დიდი მტაცებლობით გონს ვერ მოეგენ,
უფლისმიერი გამოცდაა ნაღდი კაცობის.
ბევრი ჩაიჭრა, ჩასაჭრელი ჯერაც ბევრია,
მიტომ მოსთქვამენ ვერ აყვავდა ჩვენი კუთხეო,
ცხოვრება თითქოს ღვინით სავსე დიდი ქვევრია,
და უნდა შეძლო ამოიღო ღვინო უმთხლეოდ.
უამრავია ბოლმისაგან ძირს დალექილი,
პატიოსნება ფრინველივით სადღაც ფაჩუნობს,
ცხოვრება მიქრის და არავის დარჩა ვექილი,
რათა კაცობა სუნთქვასავით შეინარჩუნონ.

ქვეყანა

ცა მოჩანს წვიმით სავსე ცურებად,
თითქოს ქვეყანა წარღვნას მოელის,
ღრო მიქრის,
მათაც ღრო ეწურებათ,
როგორც მთავრდება ქვეყნად ყოველი.
ბევრს სურს ქონება სადმე დამალოს,
გინდაც მეორედ იყოს მოსული,
სამწუხაროა და სავალალო,
ქვეყანა გახდა მაფიოზური.
გაჭირვებია ქართველს შენება,
მტერმა დალაშქრა თითქოს ციხენი,
ალბათ, დიდ მტარვალს ასე ენება,
თქვენც უმწეობით უკან იხევდით.

ხეტყე

როგორც ასანთი, ვაჭრობენ ხეტყით,
ექოც გაისმის სიტყვის უშვერის,
ძლიერს ვერავინ ვერაფერს ეტყვის
და ჩვენს სიმდიდრეს ვერვინ უშველის.
ეცემა ნაძვი, ფიჭვი, წიფელი,
ცუდი დღე უდგას გოდერძს, მამისონს,
მიქრიან ღღენი ისეც მყიფენი,
ნაამაგარი ქრება მამისო.
და შიშვლდებიან ვეება მთები,
ვიღაცა იღებს ქვეყნის მისაღებს,
უფსკრულისაკენ მივემართებით,
როგორც მორები თურქეთისაკენ.

მეწყმრო

ვეება ზვაგი მომდგარა კართან
და მოსაწყვეტად უკვე მზად არი,
ჩვენ ვინ გვიცავდა,
უფრო ვინ გვიკვლავდა,
არ გაგვიგია დღემდე მართალი.
მეწყმერს საზღვრები გადმოულახავს,
შეჩერებულა გორთან, ქარელთან,
ვითომ აქამდის არვის უნახავს
სვლა ჩრდილოეთის მსუსხავ ქარებთან.
იქნება კიდევ მოწყმელს მეწყმერი,
და მყინვარწყმერმა მხრებზე შეგვისვას,
ახალ პატრონებს ველარ ვერწყმებით
გათელილები მეწყმერებისგან.

ბინა

ძველ ეზოს ველარ შორდება,
ცხოვრობს გამჭვარტლურ ბინაში,
ისე ჩანს მისი ცხოვრება,
ვით ანარეკლი მინაში.
გზა რთული, არა გლამური,
მოჩანს დაღად და წყლულებად,
გრძელდება ფრენა ღამურის
ბნელს შეფარებულ სულებად.
ყველაფერია გვიანი,
თითქოს სამყაროც ბერდება,
დრო კი მიფრინავს გრიალით
და არასოდეს ჩერდება.

ბაღაბვარება

როგორც გრიგალი მიაპობს სივრცეს,
გადაგვარებაც იმგვარად მოდის,
და აღარ ვიცით ვის უნდა მივცეთ
მამაპაპათა უკვდავი კოდი.
ირგვლივ ყოველი ისე იცვლება,
ვით არეული მარტის დარები,
და არეული სივრცე იცვლება
დარდივით ძველზე ფიქრის ტარებით.
ძალიან ცოტა შემორჩა წარსულს,
ჭვარტლით დათხვრილი ქრიან ქარები,
და ამინდივით,
შენ გსურს თუ არ გსურს,
გაქრობისაკენ მიექანები.

ცვლილება

უცებ შეცვალა თოვლმა ქალაქი,
ხედებიცა და განწყობილებაც,
ჰორიზონტიდან შემოგვანათეს
მთებმა გათვლაზე დაწყობილებმა.
დღის მობრძანებას მოჰყვა სიანხლე,
რაც იმედივით ჩანდა აქამდე,
გავყურებ ჰაერს როგორ მიაჩვენებს
თოვლი,
და აფენს რძისფერ მაქმანებს.
სივრცე უეცრად გახდა სხვაგვარი,
სარკემ იელვა გაღმა პრიალამ
და სინამდვილე კუმტად მაგარი
თვალს და ხელს შუა გაზღაპრიანდა.

თოვზა

ამნაირ თოვლში სულ მაგონდებით
 შენ და რძისფერი ბაკურიანი,
 ოცნებასავით აღარ მშორდებით,
 სიყვარულისთვის მაგულიანებთ.
 ო, რა სინანულს იწვევს ის წლები,
 გიჭირს საკუთარ თავის მორევა,
 ლერწამის მსგავსად აღარ ირწევი
 ცხოვრება უკვე ისე მდორეა.
 შორს კი ფერდობებს მოსდევს სრიალით
 ახალგაზრდობის კონტა კრებული,
 ივსება სული დარდით გვიანით,
 როგორც ხეობა მივიწყებული.

ქაქუცა

ზოგჯერ იმედი გაზაფხულის მავსებს ღვარივით,
 რომ მთაწმინდიდან გადმოგვცქერის დიდი ქაქუცა,
 აღზევანიდან აღარ მოაქვთ უკვე მარილი,
 ქვეყანას შლიან ფურცლებივით ნაკუნ-ნაკუნად.
 ხშირად მრცხვენია გმირთაგმირი ჩოლოყაშვილის,
 ვინაც ხმალდახმალ შეერკინა მომხდურ ათასებს,
 ჩვენ კი შემოგვრჩა დამწვარ ტყესთან შავი ნახირი,
 ახლა ის დროა,
 ვერ გაიგებ ვინ რას აფასებს.
 დამარცხებული სადღა ნახავ აწი ქაქუცებს,
 თუმცა კახეთი ალბათ, მაინც დაგვართვლიანებს,
 მძიმე ცხოვრება კიდევ უფრო დაგვანაკუნებს
 და ათასობით ქაქუცა თუ გაგვამთლიანებს.

გურამ თიკანაძე

სიკვდილი თოვლზე მომდგარი როკვით,
ღრმა უფსკრულებში გადინარხარებს,
წყდება ცალპირად ჩაბმული თოკი,
ქრები და თავიც აღარ დახარე.
ქერა თმებს გიშლის ყინულის ქარი,
გიშლის, გიბურავს, კი არ გივარცხნის,
დიდი სიცოცხლის იხშობა კარი,
გზა ცხოვრებისა წყდება სიმარცხით.
ვერვინ გაიგებს ცალპირა თოკის
რისთვის დაგჭირდა მარცხივით ჩაბმა,
გარბის ცხოვრება არავის მზოვი,
რჩები მარადის მითად და ამბად.

სალამდე

სულ აირია ამინდი,
უკვე ქარ-ყინვად ნაქცევი,
ის კი ჯერ არსად არ მიდის,
ჩვენი მამულის დამქცევი.
საქმე სულ უკან წავიდა,
როგორ დამშრალი გუბე რამ,
თევზი ფუჭდება თავიდან,
თუმცა ბოლომდის უბერავს.
ეს რამოდენა სადარდო
შემოგვივარდა ღვარივით,
ასე ვიქნებით სანამდე,
ქრება პურიც და მარილიც.

წარმეული

გორები დგანან დარაზმულივით,
ზოგს დაბრუნება გვიან მოუწევს,
ახლა სოხუმი ჩარაზულია,
რუსის საზღვარი გადის ფსოუზე.
გალიდან იქვე ოჩამჩირემდე
ძალზე ძნელია გავლა მანძილის,
მთაში დამფრთხალი მოჩანს ირემი,
არ აფრინდება ცისკენ არწივი.
წარმეულ კუთხეს მძიმედ ბორკავენ,
რომ საქართველოს მკლავი მოკვეთონ,
ჩაფერფლილია სული მბორგავი,
ქრება საერთო და სამოკეთო.

რა გველოდება

რა ეშველება ქვეყანას ამას,
საუკუნეებს ვინაც ეტოქა,
ვინც ნათელივით ირჩევდა ლამაზს,
უკეთურება რომ გაეთოკა.
ვინც მუზარადით, ხმლითა და შუბით,
გოლიათივით იდგა დარაჯად,
ვინაც იმედი ატარა უბით
და ყველა უფსკრულს გადაალაჯა.
ახლა მივედით უძირო ხევთან,
ცუდის და კარგის გასაშველებლად,
სულ ქალღმერთივით გრიგალი გვხვდება,
ახლა არ ვიცით რა გვეშველება.

ყველა ტაძარი

კარგად რომ ვნახო, ისევ დავთვრები,
ნისლების ფიქრით მთების შერაგვა,
და ბიბინებენ ყვითლად სანთლები,
რაც იმედების გადარჩენას ჰგავს.
ეს იმედები ისევ მფარავენ,
თუმც წასულები სულში კვნესიან,
რას ჰქვია ტაძრის სიპატარავე
ყველა ტაძარი უდიდესია.
ყველა მათგანი უფლის წილია,
მათით მტერიც კი ვერას დამაკლებს,
თუ ზოგი მაინც უფრო წინაა,
უკან მომდგარი წინას ამაგრებს.

უფალს შევთხოვოთ

საქართველოზე აღარ ფიქრობენ,
საქართველოზე აღარ დარდობენ,
ბნელში ფარფატა სანთელს გვიქრობენ,
და ამას ვუცქერ განა მარტო მე.
საქართველოსთვის აღარ შრომობენ,
არეულ წლებში ვინ რას იჯავრებს,
მამულს, ვით სუნთქვას განუშორებელს,
ჩვილი ბავშვივით მკერდით გვგლიჯავენ.
ქართველი ქართველს უცქერს მტერივით,
ებრძვიან ვინაც მისთვის წვალობდა,
უფალს შევთხოვოთ ცოდვის წერილით,
იქნებ მოიღოს ჩვენზე წყალობა.

ამაღლება

სხივი შუბივით ნისლებს შეამღვრევს,
მთების კარები ყინვით შერაზეს,
ქარი ჰანგებით,
როგორც მეარღნე,
ქედებზე მოსდევს ლამაზ ტერასებს.
დგება შეგრძნება მთასავით დიდის,
კაცს არც საფიქრი შემოაკლდება,
მტკვარი ისეთი ხმაურით მიდის
ვრცელი ხეობის შეძლო აკლება.
გამალებული ვფიქრობ ჩემთვისაც,
რომ უნდა დადგეს დრო განახლების,
მერე დიდი ხნის ნანატრ ხერთვისთან
ცად ქონგურების წყებით ვმაღლდები.

მთაში

ძლივს ავისრულე სურვილი,
მაინც მივედით მწვერვალთან,
მთებში მომსკდარი წყურვილით
ღვარი კლდეებში შევარდა.
ჰაერი ძალზე ცივია,
ბუნებაც საწყალს დაცინის,
ტყეში ქარები წივიან,
გრიალს ვერაფრით დაცილდი.
სხვა სამყაროში მიდიხარ,
სხვა სილამაზით მშვიდდები,
თუ მიგაჩნია დიდი ხარ,
აქ ასჯერ მეტად დიდდები.

* * *

ბევრჯერ გყინავდა ცივი გრიგალი,
დროც იდგა მძიმე დარდის შემძენი,
შენი ცხოვრების ნაღდი იგავის
გახმაურება მაინც შეძელი.
სასტიკი ბრძოლა გამართე ბედთან,
შეუბოვარი ამ გრიგალივით,
ღრუბლებს ელვა და ქუხილი კვეთდა,
რაც საბოლოოდ მაინც გაივლის.
კიდევ შემოგრჩა ძალა შეტევის,
არშეჩერების და არდაცემის,
თითქოს დროშიაც ველარ ეტევი
მცხოვრები დარდით და გატაცებით.

წარმატებული

შენთვის დრო იყო სულ ცოტა ხნით გაჩერებული,
რიგს მიღწევათა ჰპოვებდი და იმეორებდი,
საკუთარ თავში ისე იყავ დაჯერებული,
ვერცკი შეგცვლიდა მეფესავით ვინმე მეორე.
კიდევ შეხსენი დახურული კარი ვერაზე,
ისევ აღზევდი გამოსული მძიმე ბნელიდან,
არასდროს ფიქრი არ გტოვებდა კარიერაზე,
ქონებასავით სანუკვარი გსურდა ელიტა.
მეგობრობასთან ახლობლობაც შეგრჩა ძლიერთან,
და ფულიანთან, ანუ ახალ მილიონრებთან,
ამის მერე კი მტაცებლურად რაც მიიერთე
დრო მოვარდნილი დამდაბლებას იმეორებდა.

ნეტავ არ გაქრნენ

ქრებიან წლები, დაღლამ იმატა
და ღამლამობით ტკივილით გხედავ,
ზოგჯერ ხატებას შენსას მივმართავ,
როცა იწყება შრიალი ხეთა.
როდესაც ღამე აჩუმებს თბილისს,
ან შესვენებას ურჩევს დიღამდე,
დარდივით წყდება ხშირ-ხშირად ძილი,
ყოფნა ბურანში რასაც მივანდეთ.
მოდინარ ჩემთან,
მომეფერები,
რაც დაღლილივით მუდამ მწყუროდა,
ნეტავ არ გაქრნენ ხსოვნის ფერები
შერჩენილები უსასრულობას.

როცა დადგება

ერთფეროვნებამ ისე დაგლალა,
ვით მიწის მუშა იღლება შრომით,
ქარმა ტკივილი ფიფქებივით შემოგაყარა
საკუთარ თავთან დაწყებულ ომით.
წელი წელს მისდევს,
ვით ტალღას ტალღა,
ტალღა ქრება და იწყება შტილი,
სულ შორს და მაღლა,
ჩქერებზე მაღლა,
კვლავ მიფარფატებს ობოლი ტივი.
ერთი ბოლო აქვს ტალღასაც, ტივსაც,
ვერცხლივით მთვარე ჯერ ისევ რგოლობს,
ერთი დღე ელის ცხელსაც და ცივსაც
როს მარადისი დადგება ბოლო.

პოეზიის დღესასწაული

უკვე მრავალი წელია, რაც ქართველმა ხალხმა, საქართველოს მწერალთა კავშირმა და საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობამ დააკანონეს და მშვენიერ ტრადიციად აქციეს დიდი ქართველო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ხალხის უსაყვარლესი შემოქმედის გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი დღესასწაული გოგლაობა.

გიორგი ლეონიძე იყო მონუმენტური პიროვნება, ბრწყინვალე პოეტი, პროზაიკოსი, საზოგადო მოღვაწე, დიდი კაცი და დიდი მამულიშვილი. მისი საფიცარი სამშობლო საქართველო ბედნიერი ქვეყანაა იმით, რომ ჰყავდა და ჰყავს უმაღლესი დონის პოეტების მთელი კოჰორტა, სადაც უხვად არიან წარმოდგენილები ცნობილი, თვალსაჩინო, გამოჩენილი და დიდი პოეტები. „ღვთივ კურთხეულ ადამიანთა“ ამ სახელოვან კრებულში ორი მიუწვდომელი მწვერვალია წარმოდგენილი ეს არის გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე.



ვერც ტერენტი გრანელმა, ვერც იოსებ გრიშაშვილმა, ვერც ტიციან ტაბიძემ, ვერც პაოლო იაშვილმა, ვერც ანა კალანდაძემ თუ მუხრან მაჭავარიანმა ვერ შეძლეს გალაკტიონ ტაბიძეს მიახლოებოდნენ. ეს მოახერხა ანუ სრულიად ბუნებრივად გააკეთა დიდმა გიორგი ლეონიძემ, ვისადმი მიძღვნილი პოეზიის ცნობილი დღესასწაული გოგლაობაც 2016 წლის 29 მაისს, კვირადღეს, ჩატარდა საგარეჯოს რაიონის მშვენიერ ქართულ სოფელ პატარძელში, სადაც დაიბადა და გაიზარდა სახალხო პოეტი.

თვით გიორგი ლეონიძე დიდი სიყვარულით წერდა:

„პატარძელი ჩემი სოფელი,
ბავშვობის კერა პატარძელი.

... აქ მზრდიდა დედა, აქ მზრდიდა ხალხი“.

შესანიშნავი პოეტური მიგნებით არის ნათქვამი. დიას, დედასთან და ოჯახთან ერთად მომავალ უდიდეს პოეტს აქ ზრდიდა ხალხი, გლეხობა, ზრდიდნენ კაცური კაცები, რომლებიც შემდგომ დიდებულ ლექსებსა და განსაკუთრებით საუცხოო პროზაში გააცოცხლა, აამეტყველა, განაზოგადა და სამუდამოდ დატოვა ქართულ სინამდვილეში ქართული სიტყვის დიდოსტატმა გიორგი ლეონიძემ.

29 მაისს დილიდანვე შეიკრიბა ხალხი, პოეზიის

მოყვარულები, პატარძელისა და საგარეჯოს მცხოვრებლები, სტუმრები თბილისიდან და საქართველოს კუთხეებიდან, საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობა, გამგებელი, საკრებულოს დეპუტატები.

გიორგი ლეონიძის ისტორიული სახლკარის გვერდით სპეციალურად იყო გამართული სცენა, სადაც უწყვეტად გამოდიოდნენ საგარეჯოს რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, ცალკეული შემსრულებლები, დეკლამატორები.

დამსწრე საზოგადოებამ სიამოვნებით შეიტყო, რომ რაიონში არსებობს ფრანგული ენის კოლეჯი, სადაც პატარძლეული ბავშვებიც სწავლობენ. ძალზე საინტერესო იყო ის, რომ მოსწავლეები ქართულად კითხულობდნენ ნაწევრებს გიორგი ლეონიძის პროზაული ნაწარმოებებიდან, შემდეგ კი ფრანგულ ენაზე ამეტყველებდნენ. ეს იყო საზეიმო შეხვედრის ძალიან საინტერესო ნაწილი.

გოგლაობის მომზადებისა და გიორგი ლეონიძის მამაპაპეული სახლის, სადაც კარგა ხანია ცნობილი მუზეუმი განთავსებული, მოვლის, პატრონობისა თუ ექსპონატების შევსებაში აქტიური, გულმოდგინე, მზრუნველი საქმიანობისათვის აუცილებელ მადლობას იმსახ-

ურებს დიდი გიორგი ლეონიძის ნათესავი და თაყვანისმცემელი დარეჯან ლეონიძე.

დღესასწაულზე შეკრებილ საზოგადოებას საინტერესო სიტყვებით მიმართეს ფართოდ ცნობილმა პოეტებმა, მკვლევარებმა, ფილოლოგიის დოქტორებმა ემზარ კვიციანიშვილმა და ნუგზარ წერეთელმა, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ, შესანიშნავმა პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა, ცნობილმა საგარეჯოელმა პოეტებმა ზაქარია ზუკაკიშვილმა, სანდრო უსტიაშვილმა და სხვებმა.

გოგლაობის დღესასწაულს საპატიო სტუმრების რანგში ესწრებოდნენ დიდი გიორგი ლეონიძის ძმიშვილი, საქართველოს ტელეჟურნალისტიკის ფუძემდებელი, ათწლეულების მანძილზე კათედრის გამგე, თაობათა აღმზრდელი, პროფესორი ნიკო ლეონიძე, ვინც დიდი პოეტის მამის სახელს ღირსეულად ატარებს და გიორგი ლეონიძის შვილიშვილი, ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი გიორგი გვინჩიძე.

პოეზიის დღესასწაული გოგლაობა დიდი სიყვარულით ჩატარდა და ზეიმზევე დაინიშნა თარიღი გიორგი ლეონიძის მშობლიურ სოფელ პატარძელში მომავალ წელს კვლავაც ღირსეული აღნიშვნისათვის.

გოგი არავი

ჟურნალ „სიტყვის“ კორესპოდენტი

თვითშეფასება და კონტროლის ღოკუსი ტიპოლოგიის ჯრილში

ადამიანთა ტიპოლოგიის ჩამოყალიბებას დიდი ხნის ისტორია აქვს. დღეს ცნობილია მრავალი ტიპოლოგია, რომლებშიც ადამიანთა სხვადასხვა თვისებრივ მხარეზეა ყურადღება გამახვილებული. მათ შორის აღსანიშნავია ადამიანთა დაყოფა გარეგნული აღნაგობის, ტემპერამენტის, გრძნობების, დამოკიდებულებების, განწყობებისა და სხვა ფაქტორების მიხედვით. ეს ტიპოლოგიის ფორმებია: ყველაზე ძველი და პოპულარული ჰიპოკრატეს ტიპოლოგია, პავლოვის უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპოლოგია, იუნგის, შემდგომ კი აიზენკის ექსტრავერსია-ინტროვერსიის ტიპოლოგია, დ.უზნაძის ტიპოლოგია და ა.შ. საინტერესოა, რომ ეს ფორმები კორელაციაში მოდის ერთმანეთთან.

მეტად ნაყოფიერი გამოდგა ტიპოლოგიის სფეროში ინტროვერსიისა და ექსტრავერსიის ცნებების შემოტანა შვეიცარიელი ფსიქოლოგის კ. იუნგის მიერ. ამ ცნებათა შინაარსი კიდევ უფრო დახვეწილი იქნა ინგლისელი ფსიქოლოგის ჰ. აიზენკისა და ამერიკელი რ. კეტელის თეორიული და ექსპერიმენტული მუშაობის საფუძველზე.

ამ შეხედულების მიხედვით ადამიანები ან ექსტრავერტები არიან ან ინტროვერტები. პირველნი, გარეთ, ობიექტური სამყაროსკენ მიმართული ტიპები არიან და ხასიათდებიან შემდეგი ნიშნებით: მოუსვენარი, აგრესიული, იმპულსური, ოპტიმისტი, ავზნებადი, აქტიური, გულლია, მხიარული, მოლაპარაკე, უზრუნველი, ლიდერობის მოყვარული და სხვა.

ექსტრავერტის საწინააღმდეგო პოლუსზე დგანან ინტროვერტები. ისინი შიგნით, საკუთარი სულიერი სამყაროსკენ მიმართული ტიპები არიან და ახასიათებთ ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიწყნარე, სიმშვიდე, სიდინჯე, პესიმიზმი, თავშეკავებულობა, პასიურობა, გულჩათხრობილობა, მოწყენილობა, სიტყვაძვირობა და ა.შ.

თვითშეფასება არის ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების შეფასების უნარი, მისი დამოკიდებულება საკუთარი შესაძლებლობების, პიროვნული თვისებების, გარეგნობისადმი. ნებისმიერ ჩვენთაგანს გარკვეული თვითშეფასება აქვს და ჩვენი ქცევა ძირითადად, ამითვეა ნაკარნახევი.

ის, თუ როგორი პიროვნება დადგება ამა თუ იმ ბავშვისგან მომავალში, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, როგორი თვითშეფასება გამოუმუშავდება მას. ბავშვებს ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში უყალიბდებათ და უვითარდებათ საკუთარი შესაძლებლობებისა და თვისებების შეფასების უნარი, რაც, თავის მხრივ განსაზღვრავს მათ ქცევას, ამიტომ მისი სწორად ჩამოყალიბების შემთხვევაში ბევრი სირთულის თავიდან აცილება შეიძლება. თვითშეფასების ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მშობლების ყურადღებას, მათი მხრიდან ბავშვის უპირობო მიმღებლობას.

თვითშეფასების პრობლემატიკა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დანაშაულის განცდასთან და არასრულფასოვნების კომპლექსთან, რაც ფსიქიკური აშლილობის დროს ყველა შემთხვევაში არსებული პრობლემაა. მისი გამოწვევა და ჩამოყალიბება მრავალ რისკ-ფაქტორთან არის დაკავშირებული. რისკ-ფაქტორი ის მაპროვოცირებელი აგენტია, რომელსაც შესატყვის სიტუაციაში დაავადების გამოწვევა შეუძლია. მისი ამოქმედების საშიშროება 6 წლამდე ასაკშია მოსალოდნელი. ბავშვი ძალიან მგრძობიარეა იმის მიმართ, რაც მისი მოთხოვნილებების, ფუნქციების შეზღუდვასთან, საფრთხის აღმოცენებასთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორებია: ჭამის, მოშარდვის, კუჭში გასვლის შეკავება სიტყვით ან ქმედებით აკრძალვისას; დაბანვისას ტკივილის მიყენება; ოჯახში უმცროსი და-ძმის გაჩენა; კასტრაციით დაშუქება; დედის დაკარგვის განცდა; დედ-მამის ჩხუბი; სხვადასხვა აკრძალვა და დამსჯელობითი ღონისძიება და ა.შ.

კონტროლის ლოკუსი წარმოადგენს საერთო მოლოდინს იმისა, თუ ადამიანები რა დონეზე აკონტროლებენ საკუთარ ცხოვრებას. ადამიანები ექსტერნალური კონტროლის ლოკუსით თვლიან, რომ მათი წარმატებები და წარუმატებლობები რეგულირდება გარეგანი ფაქტორებით, ისეთებით, როგორცაა ბედი, იღბალი, ბედნიერი შემთხვევა, გავლენიანი ადამიანები და გარემოს გარკვეული (არაწინასწარმეტყველური) ძალები. „ექსტერნალებს“ სჯერათ, რომ ისინი ბედის ტყვეები არიან. ინტერნალური კონტროლის ლოკუსით ადამიანებს, პირიქით, სჯერათ, რომ წარმატება და წარუმატებლობა განისაზღვრება მათი საკუთარი ქმედებებითა და შესაძლებლობებით (შინაგანი და პიროვნული ფაქტორებით). ამიტომ „ინტერნალები“ გრძნობენ, რომ ისინი დიდი დოზით გავლენას ახდენენ საკუთარ ქცევაზე, ვიდრე ადამიანები ექსტერნალური კონტროლის ლოკუსით.

კვლევები ასევე აჩვენებს, რომ ექსტერნალებს ბევრად მეტი აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები, ვიდრე ინტერნალებს (Lefcourt, 1982; 1984; Phares, 1976; 1978). მაგალითად, ფარესი გვატყობინებს, რომ შფოთვა და დეპრესია ექსტერნალებთან უფრო მაღალია და თვითშეფასება უფრო დაბალია, ვიდრე ინტერნალებთან. ასევე ფსიქიკური დაავადების გამოვლენის ალბათობა ინტერნალებთან უფრო დაბალია, ვიდრე ექსტერნალებთან. ასევე დამტკიცებული იყო, რომ თვითმკვლელობის დონე პოზიტიურად კორელირებდა ექსტერნალობის საშუალო დონესთან (Boor, 1976).

რატომ არის დაკავშირებული ექსტერნალობა ცუდ ადაპტაციასთან? ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ ადამიანებს შეუძლიათ მიაღწიონ ცხოვრებაში მეტს, თუ მათ სჯერათ, რომ მათი ბედი მათ საკუთარ ხელშია. ამას თავის მხრივ მივეყვართ ინტერნალებთან კარგ ადაპტაციის უნართან, რაც დამტკიცებული იყო მრავალი კვლევით (Parkes, 1984).

ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა ტიპოლოგიათა (ექსტრავერსია-ინტროვერსია) პიროვნული თავისებურებები და ნევროტულობის სტატუსი (თვითშეფასება და კონტროლის ლოკუსი).

1. თვითშეფასების პრობლემატიკა ნევროტულობის და ფსიქიკური აშლილობის დროს ყველა შემთხვევაში შემხვედრი გამოხატულებაა, ამიტომ როცა ტიპოლოგიების ნევროტიზაციაზე ვსაუბრობთ, მათი როლი ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული იქნება. ასევე მნიშვნელოვანია ვიკვლიოთ თვითშეფასება ნევროტულ და სტაბილურ ტიპებში, რა განსხვავებებს ვხვდებით მათ შორის.

2. საინტერესო სიახლე იქნება ტიპოლოგიისა და კონტროლის ლოკუსის მიმართების ძიება. მიიჩნევა, რომ ექსტრავერტი მეტად სტაბილური ტიპია, გამოირჩევა დაბალი ნევროტიზმის დონით და მეტად ადაპტურია გარემოში. ხოლო კონტროლის ლოკუსის თვალსაზრისით კი ინტერნალობა ხასიათდება დაბალი ნევროტიზმით, სტაბილურობითა და ადაპტურობით. ამიტომ საინტერესოა ექსტრავერსია-ინტროვერსია როგორ მოდის კორელაციაში კონტროლის ლოკუსის ორიენტაციებთან?

3. შესაძლო სქესობრივი განსხვავებების დადგენა. რა სახის განსხვავებებს ვხვდებით ინტროვერტ ქალსა და კაცს და ასევე ექსტრავერტ ქალსა და კაცს შორის პიროვნული თავისებურებების თვალსაზრისით.

აღნიშნული საკითხების შესასწავლად გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები:

1) აიზენკის ტიპოლოგიის და ნევროტულობა - სტაბილობის განმსაზღვრელი კითხვარი.

2) როტერის კონტროლის ლოკუსის საკვლევი სკალა.

3) დემბო-რუბინშტეინის თვითშეფასების კვლევის მეთოდი.

კვლევა ჩატარდა 190 ცდისპირზე: 40 მამაკაცი და 150 ქალი. შერჩეული იქნა 85 ძლიერად გამოხატული და ტიპიური ექსტრავერტი-ინტროვერტი, 20 მამაკაცი და 65 ქალი.

გამოკვლევის შემდეგი მონაცემები გვაქვს სახეზე:

ნევროტიზმის, კონტროლის ლოკუსის და თვითშეფასების მაჩვენებლები ტიპოლოგიისა და გენდერული ფაქტორის მიხედვით

ცხრილი 1

პარამეტრები	ექსტრავერსია	ინტროვერსია	ქალები	კაცები
ნევროტიზმი	12.7	12.9	12.6	13.3
კონტროლის ლოკუსი	9	9.3	9.3	8.6
თვითშეფასება (მე)	6.3	6	6.2	6.2
პრეტენზიის დონე	7.7	7.7	7.6	7.6

ტიპოლოგიის მიხედვით ზოგიერთ პარამეტრს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

აღსანიშნავია, რომ ნევროტიზმის მაჩვენებლის მხრივ განსხვავება არ შეინ-

იშნება, თუმცა ორივე მაჩვენებელი ნორმატიულზე მაღალია.

თვითშეფასების აქტუალური დონე ორივე ტიპის მიხედვით მაღალ მაჩვენებელს შეესაბამება, თუმცა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ თვითშეფასების მაჩვენებლებიდან მეს აქტუალური თვითშეფასება ტიპების მხრივ სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებულია. ექსტრავერტებისთვის უფრო მაღალი თვითშეფასებაა დამახასიათებელი, ვიდრე ინტროვერტებისთვის.

რაც შეეხება კონტროლის ლოკუსს, ორივე ტიპი სუსტი ინტერნალობის დონეს ამჟღავნებს და ეს მონაცემები სტატისტიკურად განსხვავებული არ არის. (იხ. ცხრ. 1)

გენდერული ფაქტორის მიხედვით, ნევროტიზმის დონე ნორმატიულ მაჩვენებელზე მაღალია ორივე სქესში, თუმცა მათ შორის სხვაობა არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

რაც შეეხება თვითშეფასების დონეს, მაჩვენებლები იდენტურია, ქალებიც და კაცებიც მაღალი დონის თვითშეფასებას ავლენენ, ხოლო კონტროლის ლოკუსის მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავებული არ არის, ორივე შემთხვევაში სუსტ ინტერნალობას აქვს ადგილი. (იხ. ცხრ. 1)

ნევროტიზმის, კონტროლის ლოკუსის და თვითშეფასების მაჩვენებლები ექსტრავერტ ქალებსა და კაცებში, ასევე ინტროვერტ ქალებსა და კაცებში

ცხრილი 2

პარამეტრები ექსტრავერტი ქალები ექსტრავერტი კაცები ინტროვერტი ქალები ინტროვერტი კაცები

პარამეტრები	ექსტრავერტი ქალები	ექსტრავერტი კაცები	ინტროვერტი ქალები	ინტროვერტი კაცები
ნევროტიზმი	12.3	13.7	13	12.2
კონტროლის ლოკუსი	9.4	8.1	9.2	10.2
თვითშეფასება (მე)	6.4	6.2	6	6.2
პრეტენზიის დონე	7.8	7.5	7.7	7.8

აქაც, ექსტრავერტ კაცებში ნევროტიზმის დონე ექსტრავერტ ქალებთან შედარებით უფრო მაღალია, თუმცა ეს განსხვავება არ არის მნიშვნელოვანი.

კონტროლის ლოკუსის მხრივ ექსტრავერტ კაცებში მეტად არის გამოხატული ინტერნალობის მაჩვენებელი. თვითშეფასების მახასიათებლები კი თითქმის ერთნაირია. ამ პარამეტრებში დისპერსიული ანალიზის მიხედვით მნიშვნელოვან განსხვავებას ვხვდებით მხოლოდ თვითშეფასების პრეტენზიის დონის მხრივ. (იხ. ცხრილი 2)

ინტროვერტ ქალებში და კაცებში ნევროტიზმის დონე ნორმატიულთან შედარებით მაღალია, თუმცა დისპერსიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ არცერთ პარამეტრში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გვხვდება. (იხ. ცხრ. 2)

კონტროლის ლოკუსის და თვითშეფასების მაჩვენებლები მაღალი და დაბალი ნევროტიზმის დროს

ცხრილი 3

პარამეტრები	მაღალი ნევროტიზმი	დაბალი ნევროტიზმი
ნევროტიზმის საშ. მაჩვენებ.	19.5	6.6
კონტროლის ლოკუსი	10.4	7.1
თვითშეფასება (მე)	5.7	6.6
პრეტენზიის დონე	7.6	7.7

კონტროლის ლოკუსის მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. მაღალი ნევროტიზმის შემთხვევაში ინტერნალობის მაჩვენებელი ბევრად სუსტია დაბალ ნევროტიზმთან შედარებით და ეს სხვაობა სტატისტიკურად სანდოა.

რაც შეეხება თვითშეფასების მახასიათებლებს, მაღალი ნევროტიზმის დროს რეალური თვითშეფასება უფრო დაბალია და წარმოდგენილია საშუალო დონით, მაშინ, როცა დაბალი ნევროტიზმის შემთხვევაში აქტუალური თვითშეფასება მაღალია. ასევე მაღალი ნევროტიზმის დროს, პრეტენზიის დონესა და თვითშეფასების დონეს შორის განსვლის ხარისხი უფრო დიდია და თითქმის 2 ქულას შეადგენს, ხოლო დაბალი ნევროტიზმის დროს იგივე მაჩვენებელი მცირეა და 1 ქულას მოიცავს. ეს მონაცემი სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებულია (იხ. ცხრილი 3).

მამასადამე, კვლევის შედეგები საინტერესოა. ვლინდება ნევროტიზმის დონის ზრდის ტენდენცია ნორმატულ მაჩვენებლებთან შედარებით, თუმცა ნევროტიზმის დონე არ განსხვავდება არც ტიპოლოგიის და არც გენდერული ფაქტორის მიხედვით, რაც ორივე სქესსა თუ ტიპში თითქმის იდენტურ მაჩვენებლებზე მიგვიბრუნებს.

კონტროლის ლოკუსის თვალსაზრისითაც მეტად საინტერესო შედეგები მივიღეთ. ტიპებისა და სქესის მიხედვით ეს მონაცემები სტატისტიკურად სანდოდ არ განსხვავდება, განსხვავებას ამ მახასიათებლებს შორის, როგორც მაღლა ვიხილეთ, ვხვდებით მხოლოდ მაღალი და დაბალი ნევროტიზმის დონის მიხედვით, ანუ მაღალი ნევროტიზმის შემთხვევაში ადგილი აქვს ექსტერნალობის მაღალ მაჩვენებელს დაბალ ნევროტიზმთან შედარებით, ნევროტიზმი დადებით კორელაციაშია კონტროლის ლოკუსთან, ე.ი. ნევროტიზმის დონის ზრდა იწვევს ექსტერნალობის დონის ზრდას.

რაც შეეხება თვითშეფასებას, ექსტრავერტებისათვის მეტად მაღალი თვითშეფასებაა დამახასიათებელი ინტროვერტებთან შედარებით და საერთოდ, ექსტრავერსია დადებით კორელაციაშია თვითშეფასებასთან, ანუ ექსტრავერსიის ზრდა იწვევს თვითშეფასების დონის ზრდას. თვითშეფასების განსხვავებულ მაჩვენებლებს ვიღებთ მაღალი და დაბალი ნევროტიზმის მხრივ. მაღალი ნევროტიზმის დროს

აქტუალური თვითშეფასება მნიშვნელოვნად დაბალია და მესა და პრეტენზიის
ღონეს შორის განსვლის ხარისხი სანდოდ განსხვავებული.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თვითშეფასება და კონტროლის ლოკუსი
მნიშვნელოვან კავშირშია ადამიანის ტიპოლოგიასთან.

თამარ მერაბიშვილი

წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის დოქტორანტი